

ჩართული

ჩართულთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: წმინდა სტილისტიკური და სტილისტიკურ-სინტაქსური ხასიათის საკითხებად. ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ პუნქტუაციის წესებად ყალიბდება. ორივე ჯგუფის საკითხების სათანადო გადაწყვეტა, ცხადია, ჩართულის რაობის, ბუნების გარკვევას გულისხმობს.

ჩართულის რაობა სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადად გარკვეულია, თუმცა არსებობს ურთიერთგამომრიცხველი დებულებებიც. ამ ლიტერატურას აქ დაწვრილებით არ მიმოვიხილავთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ზოგიერთ საკითხზე (და იქნებ ზოგიერთი დებულების დაზუსტებაც). განვიხილავთ ძირითადად ე. წ. ჩართულ სიტყვებს, რადგან სადავო საკითხებიც უმეტესად სწორედ მათ გარშემო იყრის თავს.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ჩართულის გრამატიკული დახასიათება ძირითადად „ნეგატიურია“: ჩართული არ არის წინადადების წევრი (თუნდაც განკერძოებულში); ჩართული გრამატიკულად არ არის დაკავშირებული წინადადების კონსტრუქციასთან. რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებაც: მაგალითად, ა. რუდნევის აზრით, ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს სპეციფიკური ხასიათის ურთიერთობა, სპეციფიკური ხასიათის სინტაქსური კავშირიც კი, რაც გამოიხატება ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების (რომლებსაც მკვლევარი მსაზღვრელ სიტყვებს უწოდებს) წინადადებაში „ჩართვის ფაქტით“ და საზღვრულ სიტყვებთან მათი მფობლობით... მსაზღვრელი სიტყვების ფორმა არ არის დამოკიდებული საზღვრულ სიტყვებზე და მათ, როგორც წესი, არ დაესმის ლოგიკური კითხვები, მაგრამ გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას ისინი მაინც ასრულებენ — მიეკუთვნებიან წინადადების ამა თუ იმ წევრს და განსაზღვრული აზრობრივი ელფერი შეაქვთ გამოწვევამში. შემოთავაზებულია ამ ურთიერთობის ამსახველი ტერმინიც — თა-

ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ა ნ თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი თ ი კ ა ვ შ ი რ ი („соотно-
шенне“ или „соотносительная связь“)¹.

ზოგი მკვლევარი (ა. მეშჩანინოვი, ე. კროტევიჩი) ჩართულს წინა-
დადების წევრადაც აცხადებს.

ჩართულის ფუნქცია რამდენადმე განსხვავებულადაა განსაზღვრუ-
ლი იმ გამოკვლევებში, რომლებშიც წინადადება მიჩნეულია არა მარ-
ტო ენობრივ (სტრუქტურულ) ერთეულად, არამედ მეტყველების (აზ-
რობრივ-ლოგიკურ) ერთეულად². ჩართული, ისევე როგორც წინა-
დადების განკერძოებული წევრები და წინადადებასთან გ რ ა მ ა ტ ი-
კ უ ლ ა დ და უ კ ა ვ შ ი რ ე ბ ე ლ ი სხვა სიტყვა-გამოთქმები, დაბა-
სიათებულია, როგორც წინადადების ა ქ ტ უ ა ლ ი ზ ე ბ ი ს გ ა მ ა-
ძ ლ ი ე რ ე ბ ე ლ ი საშუალება³.

ჩართულის ფუნქცია, ზოგიერთ სხვა დამხმარე სიტყვასთან (ნაწი-
ლაკთან, კავშირთან...) ერთად, შემდეგნაირადაც არის განსაზღვრული
სპეციალურ ლიტერატურაში: ეს სიტყვები გამოყოფენ სიტყვათა მო-
წესრიგებული რიგის ერთ-ერთ წევრს, როგორც მეტად ან ნაკლებ
მნიშვნელოვანს, შემოჰყავთ ახალი წევრი და ხშავენ სიტყვათა რიგს,
ანდა გამოყოფენ ერთ-ერთ წევრს მოდალური შეფასების საფუძ-
ველზე⁴.

და მაინც, „პოზიტიურად“ ჩართული დახასიათებულია უმეტესად
სტილისტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით. ჩართულის სტილისტი-
კურ-სემანტიკური ფუნქციები, რომლებსაც ასახელებენ სათანადო ლი-
ტერატურაში, ზოგადად შემდეგი ხასიათისაა: ი ნ ფ ო რ მ ა ც ი უ ლ ი
(მოუბარი აზოგადებს ან აკონკრეტებს ამბავს; მიუთითებს ნაამბობის
თანამიმდევრობაზე ან მოწოდებული აზრის წყაროზე), შ ე მ ფ ა ს ე ბ-
ლ უ რ ი (მოუბარი თვითვე აფასებს თავის ნაამბობს) ან ე მ ო-
ც ი უ რ უ შ ე მ ფ ა ს ე ბ ლ უ რ ი (მოუბარი გამოხატავს ემოციურ და-
მოკიდებულებას ინფორმაციის მიმართ)...

მაშასადამე, ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მიუხედავად ფუნ-
ქციათა მრავალგვარობისა, ლიტერატურის მიხედვით, ახასიათებთ ერ-
თი სპეციფიკური ნიშანი: ამბავი დანახული თუ შეფასებულია მ უ-
დ ა მ და მ ხ ო ლ ო დ მ თ ქ მ ე ლ ი ს პ ო ზ ი ც ი ი დ ა ნ. სხვა და-

¹ იხ. Г. Руднев, Синтаксис осложненного предложения, М., 1959, გვ. 123.

² შეგნიშნავთ, რომ ზოგი მკვლევარი წინადადებას საერთოდ განიხილავს არა
ენის, არამედ მეტყველების ერთეულად. იხ. О. С. Ахманова, Г. Б. Микаэ-
лян, Современные синтаксические теории, М., 1963, გვ. 123.

³ ა. დავითიანი ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 158—159.

⁴ Русская грамматика, II, Синтаксис, М., 1980, გვ. 173.

მახასიათებელ ნიშნებთან ერთად (რომ გრამატიკულად ეს ჯგუფი „ქრელია“ და მის შემადგენლობაში არ შედის კონკრეტული საგნობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვები; რომ ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ადგილი წინადადებაში თავისუფალია), აღნიშნული ნიშნის საფუძველზედაც ჩართული სიტყვები და გამოთქმები გაერთიანებულია ერთ ლექსიკურ-სინტაქსურ ჯგუფში⁵.

რამდენადაც ჩართული სიტყვები (და გამოთქმები) წინადადებას „სუბიექტურ-მოდალურ“ შინაარსს სძენენ, ამიტომ მათ „მოდალურ სიტყვებსაც“ უწოდებენ და განიხილავენ მოდალობის კატეგორიის გამომხატველ ლექსიკურ საშუალებებს შორის, როგორც სიტყვათა განსაკუთრებულ „გრამატიკულ კლასს“...⁶

თუ ე. წ. „ობიექტურ-მოდალური“ შინაარსი ყველა წინადადებას აქვს და ითვლება, რომ არც არსებობს პრედიკატულობა მოდალურობის გარეშე, „სუბიექტურ-მოდალური“ შინაარსი ყველა გამოთქმავს შეიძლება არც ჰქონდეს, ემოციურად შეფერილი შეიძლება ყველა წინადადება არ იყოს...⁷ და, რაკი ჩართული სიტყვები ერთ-ერთი საშუალებაა ამ სუბიექტურ-მოდალური შინაარსის გამოსახატავად, გრამატიკულად კი ისინი არ უკავშირდებიან წინადადებას, ამიტომ ჩართულის დეფინიციაში გაჩნდა ასეთი თეზისი: ჩართულის ამოღებით წინადადების აზრი არ ირღვევა.

ამ დებულებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შეფარდებითი (და არა აბსოლუტური) მნიშვნელობა: ჩართულის ამოღებით არ ირღვევა გრამატიკული აზრი, უკეთ, წინადადების სტრუქტურა, თორემ შინაარსი ირღვევა (წინადადების შინაარსს არ არღვევს მხოლოდ ზედმეტი დამზმარე სიტყვების ამოღება. ამაზე — ქვემოთ)... ჩართულის ამგვარ განმარტებას გაუმართლებლად თვლიან მეთოდური თვალსაზრისითაც⁸. უკანასკნელ ხანს გამოითქვა ამ დებულების დიამეტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ თითქოს „კომუნიკაციის დროს თითქმის არც ერთი მეტყველებითი პროცესი არ მიმდინარეობს კომენტარების გარეშე, ჩართული სიტყვების ან სიტყვათა შეთანხმების (!) სახით...“⁹

⁵ Русская грамматика, II გვ. 228—229.

⁶ В. В. Виноградов, О категории модальности и модальных словах в русском языке, Исследования по русской грамматике, М., 1975, გვ. 53—87.

⁷ Русская грамматика, II, გვ. 214—216.

⁸ რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1958, გვ. 161.

⁹ ლ. ნახაპეტოვა, ტექსტის ვალენტური კავშირების შესახებ ქართულ კონსტრუქციებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1936, გვ. 135.

მაგრამ ყოველ სალიტერატურო ენაში ერთმანეთისაგან იმიჯნება ნეიტრალური და ემოციური ხასიათის წინადადებები. მათ ბევრი ნიშანი განასხვავებს: სიტყვათგანლაგება, წინადადების ინტონაციურ-მელოდიკური სტრუქტურა, დამხმარე, „მოდალური სიტყვების“ მეტნაკლებობა და სხვა... რაც შეეხება, კერძოდ, ჩართული კონსტრუქციების გამოყენებას სალიტერატურო ენაში, ყურადღებას იქცევს ტექსტებზე დაკვირვებები ამა თუ იმ სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე. რუსული სალიტერატურო ენის მკვლევრებს, მაგალითად, შენიშნული აქვთ, რომ მე-18 საუკუნის ტექსტებში ჩართული კონსტრუქციები შედარებით იშვიათად გვხვდება, მე-19 საუკუნის ტექსტებში კი მათი რაოდენობა თანდათან იზრდება.

ჩართული სიტყვისა და წინადადების გამოყენება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში სპეციალურად შეისწავლა ანტ. კიზირიამ. მკვლევარი აღნიშნავს: „ძველ ქართულში ჩართული სიტყვები შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. გადმოცემულია ვითარების გარემოების ფორმებით...“ (მაგ., ჭემმარიტად, მცნებისაებრ...) და შემდეგ: „ჩართული გამოთქმებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ისეთი ფორმები, რომელთაც შესიტყვების ცენტრად ზმნა-შემასმენელი მოვპოვებათ. იგი ძირითად წინადადებასთან დაკავშირებულია უკავშიროდ ან კავშირის მეშვეობით. სხვა სახის ჩართული სიტყვა, რომელიც ახალ ქართულში გვხვდება, ძველ ქართულში არაა მკვეთრად გამოყოფილი, როგორც განკერძოებული გამოთქმა (!)...“ ჩართული გამოთქმების მაგალითები ასეთია: **მე ვითარ ვპკონებ, ვითარ იგი გიბრძანე, ვითარცა გაუწყეთ** [ღმრთისმოყუარებასა თქვენსა], **ვითარცა ვთქუთ... ვითარცა ხედავთ... ვითარცა ხიტყუს პაკლეე...**¹⁰

მსგავსი ფაქტების საფუძველზეა გამოთქმული ვარაუდი, რომ ჩართული სიტყვები თუ კონსტრუქციები გვიანი წარმონაქმნია; რომ ჩართულ სიტყვად შეიძლება იქცეს გარემოებითი სიტყვები ან რედუციონებული წინადადებები (ვ. ვინოგრადოვი); რომ ჩართული სიტყვა წარმოადგენს თითქოს დაუმთავრებელ წინადადებას, ან მიღებულია სრული წინადადებისაგან, რომლისაგანაც დარჩენილია მხოლოდ ესა თუ ის ნაწილი. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ნაწილაკადაცაა ქცეული (დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი); რომ, ჩართული სიტყვები და შესიტყვებები წარმოქმნილია ე. წ. ჩართული წინადადებებისაგან... (ა. პეშკოვსკი); რომ ჩართული სიტყვები და გამოთქმები... როგორიცაა: „**ქემმარიტად, სიტყუსაებრ უფლისა, მსგავსად ძალისა თვისისა და მისთ., წარმოშობით ვითარების გარემოების ფორმებია, ოღონდ დაკარგული**

¹⁰ ა. კიზირია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, იკვ, XV, 1966, გვ. 176—177.

აქვთ გარემოების გაგება და განელებულია სინტაქსური ურთიერთობის გამოხატვის საშუალებაც. ამიტომაც, რომ ოდესღაც მართული წევრი წინადადებისა, რომელსაც საამისო ფორმაც აქვს, არ გაიგება წინადადების წევრად. წინადადების შემადგენლობიდან ის გამოთიშა პაუზამ, რომელიც განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყოფის ერთ-ერთი საშუალებათაგანია¹¹.

აღნიშნული დებულებებიც არ არის აბსოლუტური ხასიათისა (ვერ გავრცელდება ყველა სახის ჩართულზე) და ზოგ დაზუსტებასაც მოითხოვს. ნაწილი ჩართული სიტყვებისა თუ გამოთქმებისა ეტიმოლოგიურად მართლაც „რედუცირებული წინადადებებია“. ასეთებია, მაგალითად, ქართულ ენაში დამკვიდრებული ე. წ. „ფიცილის ფორმულები“ — **ღმერთმანი, დედაშვილობას, დამძობამ, მიწის მადლმა...** და **მისთ. შესაძლოა, პიპოტაქსური კონსტრუქციის მოშლის შედეგად იყოს წარმოქმნილი შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე ჩართულები: რასაკვირველია, ბუნებრივია და მისთ.**¹²

რაც შეეხება ე. წ. გარემოებითი ან სხვა სიტყვების ჩართულად „ქცევას“, იგი მიმდინარე, უწყვეტი პროცესია. დაზუსტებისათვის: ჯერ ერთი, ესა თუ ის სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, ცვდება რა ჯერ სემანტიკურად, შემდეგ კი — ფუნქციურად, ჩართულად კი არ იქცევა, არამედ — არასრულმნიშვნელოვან სიტყვად (მაგ., ზმნისართი ან ზმნა — ნაწილაკად). როგორც ერთმა, ისე მეორემ (ე. ი. როგორც სრულმნიშვნელოვანმა, ისე მისმა სახენაცვალმა — არასრულმნიშვნელოვანმა სიტყვამ), შესაძლოა, გარკვეულ პოზიციაში შეასრულოს ჩართულის ფუნქცია. მეორეც: ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი, სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს — ვითარების გარემოებისა, ჩართულისა ან მოდალური ნაწილაკისა¹³. ძირითადი განმსაზღვრელი სინტაქსური პირობები კი სიტყვათგანლაგება¹⁴ და ინტონაციაა. სინტაქსურ პირობებთან ერთად სიტყვის ამა თუ იმ სინტაქსური ფუნქციის რეალიზებას ხელს უწყობს ამ სიტყვის სემანტიკა და ზოგჯერ ფორმაც.

11 ანტ. კიზირია, დასახ. ნაშრ., გვ. 172—173, 180.

12 შევნიშნავთ, რომ ეს „ფორმულები“ მორფოლოგიურად შორისდებულთა შორის განიხილება. იხ. ა. შანაძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 625; თ. გაჩეჩილაძე, შორისდებულ ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979, გვ. 106—112.

13 შდრ. О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян, დასახ. ნაშრ., გვ. 134—135.

14 აღნიშნული ტერმინისათვის იხ. ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იკე, XIII, თბ., 1962; შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 3.

ამიტომ ჩართულ სიტყვებს ფუნქციურ-სინტაქსურ ომონიმებსაც უწოდებენ...¹⁵ ამიტომაც ითვლება ალბათ ჩართული სიტყვები და გამოთქმები ა დ ვ ი ლ ა დ შ ე ვ ს ე ბ ა დ ლექსიკურ-სინტაქსურ ჯგუფად¹⁶.

რაც შეეხება ჩართული სიტყვებისა თუ გამოთქმების მეტ-ნაკლებად გამოყენებას ამა თუ იმ ეპოქის სალიტერატურო ენაში, ამის მიზეზი უფრო ექსტრალინგვისტურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ (როგორცაა, მაგ., სალიტერატურო ენის ფუნქციების გამრავალფეროვნება. ინფორმაციულობის ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ლოგიკური მსჯელობისა თუ მოდალური ნიუანსების შემცველ წინადადებათა თუ შესიტყვებათა მომრავლებას, სასაუბრო ენის ნაკადის მეტად შემოჭრა სალიტერატურო ენაში და სხვ.).

ერთსაც შევნიშნავთ: ძველი ქართული სალიტერატურო ენის ტექსტები ისევე შესასწავლი ჩანს ამ თვალსაზრისით. საყურადღებოა, მაგალითად:

1) დ. მელიქიშვილის დაკვირვებები ძველ ნათარგმნ ძეგლებში ბერძნული ნაწილაკების შესატყვისი ნაწილაკების (სადამე/სადმე/სამე, ნუჟყუე, ნუჟმე...) გამოყენებაზე საკავშირებელ სიტყვებად. ამ ნაწილაკების გამოყენებას ზოგჯერ, მკვლევრის აზრით, მხოლოდ ფორმალური, სტილური დანიშნულება აქვს, და ამ „მეტნობითი“ კავშირების ამოღებით აზრს „დაშლა და ვნება არ შეემთხვევა“ (ანტონ I)¹⁷. სწორედ ამგვარი „შინაარსისაგან დაცლილი“ სიტყვები შეადგენს ჩართულთა ერთ ფენას¹⁸.

2) ლ. შალვაშვილის დაკვირვება თავად ზმნისართზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, „სულხან-საბა ორბელიანისა და მისი დროის ლიტერატურული ძეგლების ენაში თავად გავრცელებულია ჯერ, ჯერ ერთი, ჯერ იყო და, ისეც, ისედაც, თავიდან, პირველად, უწინ... ზმნიზედებისა და ზმნიზედური წყვილების შინაარსით“¹⁹. მკვლევარს მოჰყავს ასეთი წინადადებები: „თავად იმ სახლის აგებულება გვიკვირდა და მერე იმდენი ფერი საკრავი და თამაშობა“ („რუსულდანიანი“); თავად

¹⁵ В. М. Панькин, Омонимия лексическая и синтаксическая, Русская речь, № 1, 1975, გვ. 74—75.

¹⁶ იხ. Русская грамматика, II, გვ. 228.

¹⁷ დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის წარმომავლობისათვის... „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, № 2, 1984, გვ. 99.

¹⁸ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ასეთ „მეტნობაო“ კავშირებად გვევლინება ზოგჯერ და მაინც, არადა (ზმირ შემთხვევაში კი მათი ხმაობა გარკვეული სტილური ელფერის შემცველია).

¹⁹ ლ. შალვაშვილი, „სიბრძნე-სიცრუისას“ დასაწყისის გაგებისათვის. ქ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1—2, 1985, გვ. 66.

მორჩენა უხაროდა [ლორს] და მერე ის ალაგი მოეწონა, ჩალიანი, ტყიანი და ბევრი ხილიანი“ („თიმსარიანი“); ყველა გვიმლიდა ცოტას ნავით წასვლას. თავად ავი საღელავი ადგილი იყო, მერმე — ეთიოპია და ოსმალის მეკობრე მრავალი (სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“)²⁰. ამ წინადადებებში თავად [=ჭერ ერთი] ზმნისართი, ვფიქრობთ, ინტონაციურად გამოყოფილია წინადადების წევრებისაგან და ჩართულის ფუნქციას ასრულებს...

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩართული სიტყვები გრამატიკულად არაერთგვაროვანია. ჩართულად გვხვდება როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვები (ზმნა, ზმნისართი), ისე დამხმარე (ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული). მათ, ჩვეულებრივ, სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციების მიხედვით აჯგუფებენ. ასეთი დაჯგუფებისას ერთმანეთის გვერდით ხვდება, მაგალითად, ზმნური ფორმის სიტყვები — ჩანს, ეტყობა, მგონი|ვგონებ და ნაწილაკი ალბათ (აგრეთვე გამოთქმები ვინ იცის, ვინ უწყის, ღმერთმა უწყის...), რომლებიც საეჭვო-საეგებიოს ხდიან მიღებულ ინფორმაციას ან გამოხატავენ მოქმედლის ეჭვნარევ დასტურს წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ; ანდა — ზმნისართი ამგვარად, და კავშირი მათსახამე, რომლებიც გამოხატავენ „დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან“ (ა. შანიძე) და ა. შ. ჩართულად გამოყენებული სიტყვების სინტაქსური ფუნქციების გასარკვევად კი, იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლება ზოგიერთი სიტყვის ფუნქცია სინტაქსური პირობების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მათი გრამატიკული დაჯგუფება. ცალ-ცალკე ჩანს განსახილველი ჩართულის ფუნქციის მქონე ზმნისართები, ნაწილაკები, ზმნის პირიანი ფორმები, შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები...

ჩვენი დაკვირვებებიც სწორედ ამგვარი დაჯგუფებითაა წარმოდგენილი.

1. ჩართულის ფუნქციის მქონე ზმნისართები

როგორც ცნობილია, ჩართულ სიტყვებად უმეტესად ვითარების ან ზომა-ოდენობის ზმნისართები გვხვდება, ე. ი. ზმნისართები, რომლებსაც მოდალური შინაარსი აქვთ და წინადადების ძირითად შემადგენლობაში ვითარების გარემოების სინტაქსურ როლს ასრულებენ.

ვითარების გარემოების ადგილი წინადადებაში, შეიძლება ითქვას, მკაცრად განსაზღვრულია. სათანადო გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ „სალიტერატურო ენაში ვითარების და ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი

20 ლ. შალვაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ზმნიზედები უმეტეს შემთხვევაში ზმნას წინ უსწრებს²¹ და რომ „პოზიციის სიმყარის მხრივ არც ერთი წევრი არ შეედრება აღნიშნულ გარემოებას“²².

ახსნილია ამ მყარი პოზიციის მიზეზიც: „...შემასმენელი არც შინაარსით და არც თავისი ფორმით არ მოითხოვს იმ დაზუსტებას, რომელიც ვითარების გარემოებას შეაქვს წინადადებაში. თვით ვითარების გარემოება, წინადადების სხვა წევრებისაგან განსხვავებით, შინაარსულად არაა თავისთავადი, იგი მხოლოდ სხვა სიტყვის — შემასმენლის — როგორობას აღნიშნავს და ცალკე აღებული არაუფერს გამოხატავს. ბუნებრივია, თუ ვითარების გარემოება ცდილობს მიეყედლოს „ფუძე“-სიტყვას, შემასმენელს“²³.

თუ აღნიშნული პოზიციის შეცვლა, ერთი მხრივ, „...სტილისტიკური შეუსაბამობის მიზეზი ხდება და წინადადების შინაარსსაც ელფერს უცვლის“, განასხვავებს წინადადების წევრებს („ტარიელი ქართვეით მი აქროლებ და ცხენს“ და „მი აქროლებ და ქართვეით ცხენს“)²⁴, მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს ზმნისართების განკერძოებას.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია შემდეგიც: თუ წინადადებაში ორი ვითარების გარემოებაა, ისინი განლაგებულია იმის მიხედვით, თუ „რომელ სემანტიკურ ერთეულთან ამყარებენ კავშირს: მთელ წინადადებასთან თუ მხოლოდ შემასმენელთან. წინადადების მსაზღვრელი თავიკიდურ პოზიციას იკავებს წინადადებაში, შემასმენლისა კი — მის წინამავალს“²⁵. თვლიან, რომ „ვითარების გარემოებათა ამგვარი დაყოფა-დიფერენცირება იძლევა გასაღებს ჩართულის მოვლენის გაგებაშიც: ჩართული ხშირად ვითარების გარემოებად რეალიზდება, თუ მას უშუალოდ დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელი და პაუზის გარეშე ჩაერთვება წინადადებაში“²⁶.

და არა მხოლოდ წინადადებაში წარმოდგენილი ორი ზმნისართიდან ერთ-ერთი, არამედ ერთი ზმნისართიც — სხვადასხვა პოზიციაში — შეიძლება რეალიზებულ იქნეს ვითარების გარემოებად ან ჩართულად. ამიტომ ჩართულისა თუ ზმნისართების (ზმნიზედების) შესახებ არსებულ მეთოდურ ლიტერატურაში სპეციალურად მსჯელობენ ვითარების გარემოებისა და ჩართულის განსხვავების შესახებ და მიუთითებ-

21 მ. ჩინჩალაძე, ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955, გვ. 151.

22 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

23 ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 119—120.

24 მ. ჩინჩალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

25 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

26 იქვე, გვ. 45.

ბენ სწავლების პროცესში ამ საკითხის მიმართ ყურადღების გამახვი-
ლების აუცილებლობაზედაც.

როგორც ირკვევა, განკერძოებული ზმნისართი ყოველთვის ჩარ-
თულად შეიძლება არც იქნეს კვალიფიცირებული.

შედარებისათვის ჯერ მოვიყვანთ წინადადებებს, რომლებშიც
ზმნისართს მისთვის ბუნებრივი პოზიცია უჭირავს — ზმნა-შემასმე-
ნელს უშუალოდ წინ უძღვის და ვითარების გარემოების როლს ასრუ-
ლებს (სანიმუშოდ ძირითადად ისეთი წინადადებები მოვყავს, რომ-
ლებშიც ზმნისართი სინტაქსურად და ინტონაციურად არ არის განკერ-
ძობული, მაგრამ, რაკი იგივე ზმნისართი ხშირად გვევლინება ჩართუ-
ლად, შეცდომით გამოყოფილია წინადადების წევრებისაგან მძიმეებით:

ქალებმა შენიშნეს, რომ ძველი დედები, უმეტესად, არას. აკეთებდნენ მხო-
ლოდ კაპწიობას უნდებოდნენ (აკაკი); ამბობენ, ტანდი და წარმოსადგეი ალა-
მიანები უმთავრესად, გულმოწყალენი და შემბრალენი არიანო („დროშა“);
ეს მიმართულება, უპირატესად, ლოგიკურ-სემანტიკური იყო. (რ. ენუქ.,
თარგმ.); მწვანე სასუქების გამოყენება, განსაკუთრებით, ხელაყრელია მსუ-
ბუქ ქვიშნარ და ბორცვიან-გორაკიან პირობებში (ა. ჯაფარ.); ხალხთა დიდმა გა-
დასახლებებმა, საეპრო ურთიერთობის განვითარებამ და ომებმა შეუცვალა ადგილ-
სამყოფელი მცენარეებს და, მეტ-ნაკლებად, განვითარა მათში ახალი გარემო-
პირობებისადმი შეგუების უნარი (ა. ჯაფარ.);

მჭიდრო კავშირი, რომელიც ახასიათებს შემასმენელთან კონტაქ-
ტურ პოზიციაში მყოფ ვითარების გარემოებას (ზმნისართს), ირღვევა,
თუ იგი ზმნის შემდეგ გადაინაცვლებს. ინტონაციურად იგი უკვე შორ-
დება „ფუქ“-სიტყვას და განკერძობისაკენ ისწრაფვის. მაგ.:

როგორც მოგეხსენებათ საზოგადოდ ქვრივის მდგომარეობა [წდრ.:
როგორც საზოგადოდ მოგეხსენებათ ქვრივის მდგომარეობა], ეს დედა-
კაცი დიდს წვასა და დაგვაში იყო (ალ. ყაზბ.); ერთხელ, როდესაც პურის ჭამად ის-
ხდნენ დარბაისლები მეფესთან და შეექცეოდნენ ჩვეულებრივად.
[წდრ.: ჩვეულებრივად შეექცეოდნენ], ვილაც წვერმოშვებული შეს-
ტერი მოადგათ და დაუწყო მათ შაირები (აკაკი);... ჯერ ისევ გენერლობს და ნელა,
დინჯად მიამიჯებს ჩამწყრივებული ჯარის წინ, თან ხელჯონს იშველიებს; თითქოს
სადღაც, თავის მამულში, თავის საყვარელ ხეივანში მისეირნობს ჩვეულებ-
ისამებრ [წდრ.: ჩვეულებისამებრ მისეირნობს] (ო. ჭილა); მისი
მოგვარება დაკავშირებულია, უპირველესად, [წდრ.: უპირველეს-
ად დაკავშირებულია] საკურორტო-ტურისტული და სატრანსპორტო მშე-
ნებლობის განხორციელებასთან („კომ.“).

შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში მყოფი ზმნისართი კი ამ-
კარად განკერძოებულია და სწორედ იგია ჩართულად კვალიფიცირე-
ბული. მაგ.:

დიდ ადამიანებს, ჩვეულებრივ, დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოდა და მათი ხასიათი ბრძოლაში იწრთობა და კაცდება (გ. ქიქ.).

სათანადო გამოკვლევებში, როცა წინადადებაში ჩართულის ადგილის შესახებ მსჯელობენ, აღნიშნავენ, რომ: ა) ეს ადგილი თავისუფალია; „ჩართულს ახასიათებს უნარი წინადადების სიტყვიერ სივრცეში სინტაქსური მოძრაობისა“²⁷. ბ) ჩართული შეიძლება მიემართებოდეს მთელ წინადადებას ან მის რომელსამე წევრს; თუ მთელ წინადადებას მიემართება, უმეტესად წინადადების თავშია ან ბოლოში, ხოლო თუ ერთ-ერთ წევრს (ან წინადადების ნაწილს), მაშინ მათ გვერდით თავსდება²⁸.

გარკვეული ხასიათის მსჯელობას ვხვდებით ჩართულის თანმხლები ინტონაციის შესახებაც. მაგალითად, რ. შამელაშვილი განასხვავებს წინადადების თავსა და შუაში ჩართული სიტყვების ინტონაციას. თავში მდგომი ჩართული სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც სემანტიკურად მთელ წინადადებას მიემართება, ავტორის აზრით, „ინტონაციურად ყოველთვის როდი გამოიყოფიან... წარმოითქმიან წინადადებასთან მთლიანობაში“. ხოლო, როცა ჩართული წინადადების შუაშია, მაშინ „...ჩვეულებრივ, ერთი პაუზაა ჩართულის წინ ან მის შემდეგ. პაუზის ადგილი განისაზღვრება ჩართულის აზრობრივი კავშირით წინადადების ამა თუ იმ სიტყვასთან. ჩართულსა და იმ სიტყვას შორის, რომელთანაც იგი სემანტიკურად დაკავშირებულია, პაუზა ჩვეულებრივ არაა“²⁹.

ჩვენი აზრით, თუ სიტყვა ჩართულია, იგი აუცილებლად მთელ წინადადებას მიემართება და ლოგიკურ-სემანტიკურად წინადადების ღერძს — ზმნა-შემასმენელს უკავშირდება. ინტონაციურად იგი დამოუკიდებელია — მცირე პაუზით გამოეყოფა მთელ წინადადებას, იქნება ეს სიტყვა წინადადების თავში, შუაში თუ ბოლოში. მაშინაც კი, როცა ჩართული სიტყვა თითქოს წინადადების ერთ-ერთ წევრს ეხება და მის გვერდით თავსდება, შემასმენელი მათ შორის აზრობრივად მაინც აღდგება და ჩართულის შემდეგ (ან წინ) თავისუფლად შეიძლება დაისვას ელიფსის აღმნიშვნელი ტირე. მაგ.: „მელამაც სი-

²⁷ В. В. Виноградов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 67; შ. აფრიდონიძე, *დას. ნაშრ.*, გვ. 45.

²⁸ Современный русский язык, II, გვ. 143.

²⁹ რ. შამელაშვილი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 155—156.

ცილი დაიწყო, რასაკვირველია, ძალაუნებურად (ვაეა)³⁰. ჩართულსა და ვითარების გარემოებას შორის კავშირი ამ წინადადებაში შეიძლება ასეც გამოიხატოს გრაფიკულად: მელამაც სიცილი დაიწყო, რასაკვირველია — ძალაუნებურად (=რასაკვირველია, ძალაუნებურად დაიწყო სიცილი).

საინტერესოა ამ მხრივ სწორედ ზმნისართ-ჩართულებზე დაკვირვება.

ზმნისართების დიდი ნაწილი, როგორც აღინიშნა, ზმნა-შემასმენლისაგან დაშორების შემთხვევაში განკერძოვდება წინადადებისაგან და ასრულებს ჩართულის ფუნქციას. მაგრამ განკერძოებული ზმნისართის ფუნქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ წინადადების რომელ წევრს მიემართება ზმნისართი და რომელ წევრთან ქმნის ლოგიკურ-სემანტიკურ და ინტონაციურ წყვილს. გარდა ამისა, ფუნქციას განსაზღვრავს თვით ზმნისართის სემანტიკა და წინადადების აღნაგობაც.

მაგალითად: ზმნისართები **კერძოდ, სახელდობრ, მაგალითად, უპირატესად (უმეტესად, მით უმეტეს)**, რომელთა სემანტიკური ფუნქცია არის მრავლისაგან ერთის გამოყოფა, თუ წინადადების რომელსამე (უმეტესად — სახელით გამოხატულ) წევრს მიემართებიან, მაშინ ამ წევრთან ერთად განკერძოვდებიან და საკავშირებელი ან დამხმარე სიტყვის ფუნქციას ასრულებენ. სწორედ ამ შემთხვევაში არა გვაქვს პაუზა „ჩართულსა და იმ სიტყვას შორის, რომელთანაც იგი სემანტიკურად დაკავშირებულია“. მაგ.:

1) ზმნისართი დანართის საკავშირებელი სიტყვაა:

უფრო ხშირად წიგნი, მაგალითად, რომანში ცალკე გამოსვლამდე ქორნალში იბეჭდება (რ. ჯაფარი); დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს, მეგობრები, ბევრი არ ჰყავდა (ნ. ტაბ.); მისი [ნარკოტიკული ნივთიერების] მიღებას შედეგად... აღამიანი, მით უმეტეს, მთზარდი, გონებრივად ჩლუნგდება, განიცდის ფიზიკურ სისუსტეს და მორალურ დაქვეითებას (ს.კ. და ცხოვრ.); ქალი ნებისმიერი მოვლენისადმი, განსაკუთრებით აღამიანთა გასაპირისადმი ზედმიწევნით ფაქიზი და გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩევა („კომ.“).

სათანადო ლიტერატურაში აღნიშნული ზმნისართები ჩამოთვლილია დანართის საკავშირებელ სიტყვებს შორის, მაგრამ არ არის მსჯე-

³⁰ ეს წინადადება მოჰყავს ლ. კვაჭაძეს იმის ერთ-ერთ ნიმუშად, რომ ჩართული შეიძლება ეხებოდეს არა „მთელ წინადადებას, არამედ მის ერთ-ერთ წევრს“ (ამ შემთხვევაში — ვითარების გარემოებას). იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 304.

³¹ პუნქტუაცია აქაც და სხვაგანაც დედნისეულია.

ლობა იმის შესახებ, თუ როდის ასრულებენ ისინი დანართის საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას და როდის — ჩართულისა. ოლონდ, ნ. ბასილია მიუთითებს პუნქტუაციურ შეცდომებზე კერძოდ და მაგალითად ზმნისართების გამოყენებისას: „...კერძოდ და მაგალითად დანართთან ან სხვა განკერძოებულ წევრთან წინადადებაში ასრულებს არა ჩართული, არამედ საკავშირებელი სიტყვის როლს (მრავლისაგან გამოყოფს ერთს). ამიტომ იგი სასვენი ნიშნით გამოიყოფა არა ცალკე, არამედ იმ სიტყვებითურთ, რომელთაც ახლავს...“³².

2) ზმნისართი განკერძოებული დროის ან ადგილის გარემოების საკავშირებელი სიტყვაა (შეენიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ზმნისართი, გარემოებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ზმნა-შემასმენელთანაც ამყარებს სემანტიკურ კავშირს):

...ვაყას ლირიკაში, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, გაისმის დრმა ტრაგიკული მოტივები... (გ. ქაქ.); უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით ომის შემდეგ, ერთი არასასიამოვნო მოვლენა შეინიშნება საქართველოში: რაღაც არაბუნებრივად იზრდება ჩვენი ქალაქების მოსახლეობის რიცხვი სოფლების ხარჯზე (რ. ჭაფარი); რევოლუციამეულ საქართველოში, კერძოდ, თბილისში, სპორტის ერთ-ერთი პოპულარულ სახეობა კიბაობა გახლდათ... („ლელო“).

მაგრამ, როცა განკერძოებული წევრი რამდენიმეშემადგენლიანია, ხდება ინტონაციური დანაწევრება: ზმნისართი ცალკე გამოიყოფა და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. სემანტიკურად იგი განკერძოებული წევრის თითოეულ შემადგენელს უკავშირდება. მაგალითად:

თუ სპექტაკლი რაიმე სამხედრო მარშის შესრულებას მოითხოვდა, ჩნდებოდა ადგილობრივი პოლკის ორკესტრი, უპირატესად ტრომბონებისა, კონტრაბასებისა და დაფდაფებისაგან შემდგარი (გ. ქიქ.). შდრ. ინტონაციურად: ...უპირატესად ტრომბონებისაგან შემდგარი; მათ დიდი ყურადღება დაუთმეს შუალედური კულტურების, კერძოდ, პამიდორის, სუფრის ქარხლისა და სხვათა მოყვანას („სოფლ. ცხოვრ.“). შდრ: კერძოდ პამიდორის მოყვანას.

დამოწმებულ წინადადებებში ზმნისართის ფუნქციას ზმნა-შემასმენლის მიმართ მისი პოზიციაც განსაზღვრავს: ზმნისართი მოსდევს შემასმენელს.

ჩართულის ფუნქციას ასრულებს ზმნისართი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი რამდენიმეწევრიანი დანართის ერთ-ერთ წევრს უკავშირდება (ან შერწყმული წინადადების ერთ-ერთ წევრს). ზმნისართის განკერძოებას ასეთ შემთხვევაში ხელს უწყობს წინადადების სიგრძეც. მაგალითად:

მაშ... არც ერთ შვილს არ ახსოვდა, არც ალაღეს, არც იოსებს — უფროს ძმას, და არც, მით უმეტეს, უმცროს დას. კატოს (რ. ინან.); არც გრამატიკულ თავისებურებათა გამოვლენა, არც ლექსიკისა და ფრაზეოლოგია-იდიომატიკის შესწავლა... არც, მით უმეტეს, სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევათა აღნუსხვა... საკუთრივ მწერლის ენის სურათს ვერ ქმნის („საენათმ. ძიებ.“).

ჩვეულებრივ, საკავშირებელი სიტყვის ფუნქციის მქონე ზმნისართი (განკერძოებულ წევრთან ერთად) წინადადების შუაში ექცევა, ზმნა-შემასმენელს კი წინ უსწრებს. თუ შესიტყვება — **ზმნისართი + დანართი** — წინადადების ბოლოს მოექცევა, მაშინ იგი დამოუკიდებელ ერთეულადაც წარმოგვიდგება და უშემასმენლო წინადადებას უტოლდება. ამიტომ ზმნისართსა და განკერძოებულ წევრს შორის შეიძლება დაიწეროს ელიფსის აღმნიშვნელი ტირეც. მაგალითად:

ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით — ბიბლიას („ძვ. ქართ. მწერლ. მკვ.“).

შდრ: სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით ბიბლიას, ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა.

ელიფსურ (შემასმენელნაკლულ) შესიტყვებად წარმოგვიდგება **ზმნისართი + დანართი** მაშინაც, როცა წინადადების ქვემდებარე გამოხატულია ნაცვალსახელით, რომელსაც აზუსტებს დისტანციურ პოზიციაში მყოფი და წინადადებასთან ზმნისართით დაკავშირებული დანართი. შემასმენლის გამეორების შემთხვევაში, სემანტიკურად დანართის ჯგუფთან დაკავშირებული ზმნისართი ვითარების გარემოებად მოგვევლინებოდა. მაგალითად:

...ამ სიბრალულს ვერაგის გაუყოფდა, მით უფრო ოთხ ვაჟკაცს [შდრ: მით უფრო ვერ გაუყოფდა ოთხ ვაჟკაცს], საითაც მოებრანებოდათ, იქით რომ გაუტევდნენ, ქარებოვით (ო. ჭილ.); ზოგნი დეიდა ნატოს ამშვიდებდნენ და ანუფეშებდნენ, უმეტესად ქალები [შდრ: უმეტესად ცი] ამშვიდებდნენ ქალები] (ა. სულაქ).

საკავშირებელი სიტყვის ფუნქცია ზმნისართმა შეიძლება და ან კი კავშირთან ერთადაც შეასრულოს. ამ შემთხვევაში ერთ ინტონაციურ (და ფუნქციურ-სემანტიკურ) ერთეულს წარმოადგენს: **კავშირითი + ზმნისართი + მისამართი წევრი** (ე. ი. ის წევრი, რომელსაც მიემართება ზმნისართი და რომელიც განკერძოვდება წინადადებისაგან). მაგალითად:

ის ჭადონსური ძალა, რომელიც აქვს ხელოვნებას, კერძოდ კი პოეზიას, აღამიანზე სიტყვის ზეგავლენის შედეგია (მ. გოგიბ.); მას შემდეგ, რაც საქადრაკო კომპოზიციამ, კერძოდ კი ეტიუდებმა, გაიტაცა, მიხედა, რომ აქ მის შე-

მოქმედებით მისწრაფებებს მეტი გასაქანი ექნებოდა („ახ. კომ.“); არც ერთი ამ კაცთაგანი, უპირველესად კი გურამ ჯოხაძე უცხოეთში დაუსჯელად ვერ წაიდიოდა („დროშა“); რა არ გვსმენია აქ უცხოეთის და ვანსაკუთრებით შვეიცარიის თავისუფალი ცხოვრების შესახებ (ი. მანსკეტ).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდანაც ჩანს, და ან კი კავშირით შედგენილი ზმნისართიანი შესიტყვებაც, ჩვეულებრივ, წინადადების შუაში გვხვდება; ზმნა-შემასმენელს კი იგი წინ უსწრებს.

კერძოდ, მაგალითად (||ახე მაგალითად), სახელდობრ... ზმნისართები, ჩართულის ფუნქციით, შეიძლება იწყებდნენ წინადადებას, ოთული წინადადების მეორე ნაწილს ან აბზაცსაც, რომელიც ადრე განვითარებული მსჯელობის დაკონკრეტებას წარმოადგენს. მაგალითად:

ვაჟა არ კმაყოფილება „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის ჩვენებით... და სხვა საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას. **კერძოდ**, ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით ეხებოდა ის პოემის ტაბაქსა და ენას („ძვ. ქართ. მწ. მკვ.“). ქართულ სათაბაშოებს ბავშვები თავისი ხელით აკეთებენ, **მაგალითად**, ტაფარიკს თითონ გამოსჭრიან ხოლმე (აკაკი); ...არსებობს... დამაჯერებელი და უდავო ფაქტები, რომლებმაც საბოლოოდ სარწმუნოდ გახადა ძველ ეგვიპტეში ტრადიციულად მიზდინარე შინაური მეფუტკრეობის არსებობა. ასე **მაგალითად**, კარგადაა ცნობილი ფაქტი, რომ ეგვიპტის ერთ-ერთ პირამიდაში დაცული იყო თაფლი, რომელმაც... რამდენიმე ათასწლეული წელი გასძლო (ალ. რობ.).

აბზაცის დასაწყისში ჩართული ზმნისართი შეიძლება იყოს არა მარტო თავკიდურ პოზიციაში, არამედ წინადადების შუაშიც. მაგ.:

რით არის **კერძოდ** გაპირობებული ეს ინტერესი („ძვ. ქართ. მწ. მკვ.“); ასეთია, **კერძოდ**, ქართული ლხინის დედააზრი: ადამიანი დგამს ბედნიერების სპექტაკლს (გ. ასათ.).

მაშასადამე, თუ ზმნისართი ჩართულია, იგი მაშინ თავისუფლად მოძრაობს „წინადადების სიტყვიერ სივრცეში“. კარგად ჩახს ეს იმ ზმნისართების მაგალითზე, რომლებიც განკერძოების შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ჩართულად რეალიზდებიან და სემანტიკურად მთელ წინადადებას მიემართებიან.

სანიმუშოდ განვიხილოთ პირიქით ზმნისართი. **პირიქათ** (||პირუჯუ) ზმნისართს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. იქითა მხარეს, იმ მხარეს, იქით (საპირისპ. **პირაქეთ**), 2. თქმულის ან მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ, საპირისპიროდ (ქეგლ).

ჩართულის ფუნქციით ეს ზმნისართი მეორე მნიშვნელობით არის გავრცელებული და სწორედ ეს მნიშვნელობაა მისი ფუნქციის ძირითადი განმსაზღვრელიც. ამ მნიშვნელობით **პირიქით** ვითარების გარე-

მოებდა გვხვდება ძირითადად მარტივ წინადადებებში — შემასმენელ-თან უშუალო მეზობლობაში:

პირიქით გააკეთა ყველაფერი (საუბ.); იქნებ ...არც არასოდეს ეძებნია საკუთარი თავი, იქნებ პირიქით მოხდა ყოველივე (ე. მღრ.).

მაგრამ, როცა მსჯელობა დაპირისპირების ნიშნით მიპდინარეობს, როცა წინადადება წინა წინადადებაში გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგო აზრს შეიცავს, მაშინ პირიქით ჩართულის ფუნქციას ასრულებს შემასმენელთან უშუალო მეზობლობაშიც კი. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ურთიერთდაპირისპირებულ წინადადებათა შემასმენლებიც სემანტიკურად ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან. მაგ.:

ეს სიტყვები არაფრით არ ამცირებს პოეტის ღირსებას, პირიქით, ამალეებს! (გ. მინდ., თარგმ.).

აღნიშნული ფუნქციით პირიქით გვხვდება როგორც შერწყმულ, ისე თანწყობილ წინადადებებში. მაგალითები:

ეს მთლიანობა დიალექტიკურია ამ სიტყვის ყველაზე მძაფრი გაგებით, ვინაიდან ნაწილები აქ არამც და არამც არ თმობენ თავის თავს, პირიქით, უაღრესი ფორმით ავლენენ საკუთარ ბუნებას (გ. ასათ.); ათწლეულების მანძილზე მეურნეობის გაძლიარა და მართვის პრაქტიკაში აკონსერვებდნენ მოქველებულ მეტოღებს და პირიქით, ხელაღებით უარყოფდნენ ზოგიერთ ეფექტიან ეკონომიკურ ფორმას („კომ.“); საქმე ის კი არ არის, რომ გარემო შეიქმნა ისეთნაირად, რომ ცოცხალ არსებათა შესაბამისი ყოფილიყო, არამედ, პირიქით, ცოცხალი არსებანი შეიცვალნენ (კრ. „მითი და სინამდგ.“).

წინადადება, რომელშიც პირიქით ზმნისართი მონაწილეობს, შესაძლოა, წინა წინადადებაში გამოთქმული აზრის უშუალო დაპირისპირებას ან მარტივ უარყოფას კი არ წარმოადგენდეს, არამედ შეიცავდეს ახალ (რათქმაუნდა, წინა მსჯელობის საპირისპირო) მსჯელობას. მაგალითად:

გენოსი კი სრულებითაც არ საპირიფებს მოწყალებას. პირიქით, ამგვარი მიდგომით ხელოვნურად ეხერხავთ მისი შინაგანი სამყაროსავე მიზანულ ბილიკებს (ბ. ტაბ.).

ასეთ შემთხვევაში პირიქით ზმნისართი მთელი წინადადების ტოლფარდი ერთეულია და, ასე ვთქვათ, „პოტენციური“ ჩართული — იმ წინადადების ჩართული, რომელიც სტილისტიკური თვალსაზრისით ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ მაინც იგულისხმება. მაგ.:

ტელევიზიის განვითარების სხვადასხვა მხარეზე დაწერილი წიგნების ნაკადი არც 80-იან წლებში შემცირებულა, პირიქით (=პირიქით, გაზარდა), მაგრამ ამ ლიტერატურისადმი მკითხველთა ინტერესი შესამჩნევად შენედა („ახ. კომ.“).

და, რაკი ფაქტიურად წინადადების ჩავარდნასთან გვაქვს შინც საქმე, პირიქით ზმნისართის შემდეგ შეიძლება შეგვხვდეს ასეთი სასენი ნიშნებიც: — ან —, მაგ.:

მეტროსამსახური ჯერჯერობით საიმედო ცნობას არ იძლევა, პირიქით, — მოსალოდნელია ინტენსიური თოვა („კომ.“); ჩემთვის ყველაყერი სასიზარულო იყო, რაც ჩემს ხალხს უხაროდა და პირიქით, — გულსაც ის მტკენდა, რაც მას აწუხებდა („თბილ.“).

პირიქით, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, (როგორც ჩართული წინადადება და არა ჩართული სიტყვა), შესაძლოა, ფრჩხილებშიც მოექცეს. მაგ.:

...შემოქმედების პროცესში [მწერალი] ზეგავლენას ახდენს ენაზე, ხეყს, ამიღრებს, ავითარებს (ან პირიქით) თავისი უნარისა თუ შესაძლებლობის და ენობრივი პოზიციის მიხედვით („საენაოზმ. ძიებ.“).

წინადადების როლის მტვირთველი პირიქით ზმნისართა შეიძლება აბზაცის დასაწყისშიც შეგვხვდეს:

...პირიქით: ფარდობითობის თეორიის, კვანტური მექანიკისა და ბარტულე ფიზიკის შექმნამ, მეცნიერულმა აღმოჩენებმა... არამც თუ ძირი გამოუთხარეს მიზეზის ცნების სასიცოცხლო ძალას, არამედ გააფართოვეს, გააღრმავეს და გაამდიდრეს ეს ცნება (კრ. „მითი და სინამდ.“).

განკერძოების შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ჩართულის ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე შემდეგი ზმნისართები: **სამაგიეროდ** (||სანაცვლოდ), **მართლაც**, **შესაბამისად**, **თავისთავად**, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას წინა წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ, ან ლოგიკურ კავშირს ამყარებენ წინადადების ნაწილებს შორის. აგრეთვე — მოქმედის ემოციური განწყობილების გამომხატველი ზმნისართები — **სამწუხაროდ**, **საუბედუროდ**, **საბედნიეროდ**, **ბედად**... ეს უკანასკნელნი ჩართულის ფუნქციას ასრულებენ ზმნა-შემასმენელთან უშუალო მეზობლობაშიც³³. მაგ.:

³³ სწორედ აღნიშნული ზმნისართები, რომელთა შინაარსში ჭარბობს მოდალურობა, ამართლებენ ტერმინ **ჩართულს** — პირდაპირი მნიშვნელობით (აგრეთვე — ჩართული წინადადებები და გამოთქმები, რომლებზედაც აქ სპეციალური მსჯელობა არ გვექნება). გადატანითი (ან უზოგადესი) მნიშვნელობით კი **ჩართული** შეიძლება გუწოდოთ ნებისმიერ განკერძოებულ სიტყვასა თუ შესიტყვებას, რომლებიც გრამა-

დაუდევნებელი (!) ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე (ილია); ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. ჩვენ და სამწუხაროდ, უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-და-ღვე საზოგადოება აკლდება (ილია); საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთაც არ ასვენებთ მშობლიურ კუთხზე ფიქრი („კომ.“); თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი, სამწუხაროდ, არა აქვს... („თბილ.“).

ჩამოთვლილი ზმნისართებიც ძირითადად წინადადების თავში ან შუაში გვხვდება, წინადადების ბოლოს კი — იშვიათად (ისევე როგორც ნებისმიერი ჩართული სიტყვა). მაგრამ თუნდაც დამოწმებულ მაგალითებში ზმნისართს ადგილი რომ შევუნაცვლოთ, მისი ფუნქცია არ შეიცვლება.

შდრ.: თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი, **სამწუხაროდ**, არა აქვს; **სამწუხაროდ**, თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი არა აქვს; და — თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი არა აქვს, **სამწუხაროდ**.

ზმნისართი **სამწუხაროდ** წინადადების თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც ჩართულის ფუნქციას ასრულებს. ზემოთ განხილული ზმნისართები კი (**განსაკუთრებით**, **ძირითადად**, **უპირატესად... კერძოდ...**), როგორც აღინიშნა, პოზიციის შეცვლასთან ერთად ფუნქციასაც იცვლიან.

2. დამხმარე სიტყვები (ნაწილაკი, კავშირი)

ჩართულის ფუნქციათ

ვითარების ზმნისართები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში მოდალური ნიუანსი ჭარბობს, ხშირი ხმარების შედეგად შეიძლება ნაწილაკად იქცნენ³⁴. ამ უკანასკნელმა კი გარკვეულ სინტაქსურ პირობებში შეიძლება ჩართულის ფუნქცია შეიძინოს. სანიმუშოდ განვიხილავთ **ალბათ**, **აგრეთვე**, **უბრალოდ** ზმნისართ-ნაწილაკებს.

ალბათ არაბული წარმომავლობის ზმნისართია. როგორც მიუთითებენ, მისი ძირითადი მნიშვნელობაა: **რასაკვირველია**, **უსაუაუოდ**³⁵ და

ტიკულად არ უკავშირდება წინადადებას და მხოლოდ მოდალურ ნიუანსს სძენენ მას. დამახასიათებელია თუშურ ნატირლებში რიტმული სტრუქტურის დარღვევებზე, კერძოდ, მიმართვის ფორმებზე მსჯელობისას ავთ. არაბულის შენიშვნა: „ისინი (მიმართვის ფორმები), ერთი შეხედვით, სალექსო საზომის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამგვარი შემთხვევების სწორად აღსაქმელად უკეთესი იქნებოდა ჩართული სიტყვები და გამოთქმები (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ც.) ორთოგრაფიულად რამენაირად გამორჩეულიყო... („ლიტ. საქ.“).

³⁴ О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

³⁵ ქეგლ, I.

ინმარება როგორც ჩართული სიტყვის, ისე დადასტურებითი **ღიან** ნაწილაკის ფუნქციით (განსაკუთრებით — სასაუბრო მეტყველებაში)-
ორსავე შემთხვევაში **აღბათ** ეკვნარევე (და არა უეჭველ) დასტურს გა-
მოხატავს, ე. ი. მოხდა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისაგან გადახრა-
თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **აღბათ** თანდათან იც-
ლება ლექსიკური მნიშვნელობისაგან, ფრაზაში ინტონაციურად ეკედ-
ლება მისამართ სიტყვას და ნაწილაკის როლში გამოდის.

ნაწილაკის (და არა ვითარების გარემოების!) როლში გამოდის **აღ-
ბათ**, როცა იგი უშუალო მეზობლობაშია შემასმენელთან. ნაწილაკი
მხოლოდ მოდალურ ნიუანსს სძენს შემასმენელს — მთქმელის შემ-
ფასებლურ დამოკიდებულებას გამოხატავს გადმოცემული შინაარსის
მიმართ. მაგალითად: ა) ნაწილაკი პრეპოზიციურია შემასმენლის მი-
მართ:

...რომ საერთოდ კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების... შესწავლისას ლი-
ტერატურას დიდი როლი ენიჭება საკითხის სრულად წარმოდგენისათვის, ამაში,
აღბათ, დაამეთანხმება პატივცემული ავტორი (ჟურნალ.); მატჩამდე და
ახლაც მაისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ამით, აღბათ, ყველაფერ
რია ნათქვამი („ლელო“).

ბ) ნაწილაკი პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ:

თათრამაც იგრძნო, აღბათ, მიჩვეული ბუდე რომ ეშლებოდა (ო. ქილა);
მთელი ეს ისტორია... საოცრად ჰგავს ეზოვნეს... იგავს. გახსოვთ აღბათ,
სიტყვით გულადი და საქმით ლაჩარი კაცი ადვილად გამოაცნობაო („ლელო“).

შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში მყოფი **აღბათ**, ისევე რო-
გორც მსგავს პოზიციაში ვითარების გარემოებად რეალიზებული ზმნი-
სართები, მძიმეებით არ უნდა გამოიყოს.

ინტონაციურად გამთლიანებულ ერთეულს ქმნის **აღბათ** ფრაზე-
ოლოგიზმებთან კავშირშიც. მაგ.:

კიდევ კარგი, ...თხილამურები არ ჰქონდათ მორგებული და თანაც მოუხეშავი
სათხილამურო ფეხსაცმელები ეცვათ, თორემ, აღბათ ცოცხალი ვერ გა-
ვასწრებდი („ლელო“).

განკერძოებას არ ითხოვს და ნაწილაკისავე ფუნქციას ასრულებს
აღბათ მიმღობასთან კონტაქტურ პოზიციაში. მაგ.:

ღობის იქით ხმა აღარ ისმოდა. ქალიშვილი აღბათ ხმაგაკმენდილი
და გაოცებული მისჩერებოდა ძღვევის ქედისაკენ გაქცეულ ჭაბუკს (ნ. შატბ.).

ინტონაციურად შედარებით დამოუკიდებლობას იჩენს და ჩართულად გვევლინება ალბათ ნაწილაკი შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში.

ა) წინადადების თავში:

ა ლ ბ ა თ, მწერებიც თავს ა ფ ა რ ე ბ დ ნ ე ნ იასამნის ჩრდილს (გ. შატბ.); ა ლ ბ ა თ იმ ბორკვიდან ზღვა ხელისგულივით მ ო ჩ ა ნ ს (ა. სულაკ.); ა ლ ბ ა თ ბეგ-რი ასეთი სიყმაწვილის დროინდელი შთამბეჭდავი და უშუალო სტრიქონი და ა რ კ ა რ გ ა... (ე. მალრ.).

ბ) წინადადების შუაში:

...სამშობლოს მოსორება მეტნაკლებად ა ლ ბ ა თ ყველასათვის ძ ნ ე ლ ი ა და მათ შორის ქართველი ხალხიც ერთი პირველთაგანია (გ. ჭელ.); აი, მორჩებთან ამ საქმესაც და ბევრი, ა ლ ბ ა თ, თავ-თავის სოფელს მ ი ა შ უ რ ე ბ ს... (რ. ჯაფარ.); ხსენებულ სამმართველოს, ა ლ ბ ა თ, უკვე ბევრი წინადადება, მოსაზრება თუ შე-ნიშვნა ეჭ ნ ე ბ ა მ ი ღ ე ბ უ ლ ი... („ლიტ. საქ.“).

მაგრამ ზემოთ განხილული ზმნისართებისაგან განსხვავებით, ა ლ ბ ა თ, როცა იგი მთელ წინადადებას მიემართება, შეიძლება თავისუფლად დადგეს ნებისმიერი წევრის (როგორც შემასმენლის, ისე სახელთ გამონახული წევრის) გვერდით ისე, რომ არ გამოიყოს მძიმეებით, და ამით წინადადების აზრი არ დაირღვევა. სწორედ ეს აახლოებს მას — ზემოთ განხილულ პოზიციაშიც კი — უფრო ნაწილაკთან, ვიდრე ჩართულთან³⁵.

შესაძლებელია, ა ლ ბ ა თ წინადადების რომელიმე წევრს უფრო მიეკედლოს. მაშინ ეს წევრი სხვა ნაწილაკითაც ძლიერდება. მაგ.:

ჩემი ზნეობა, ა ლ ბ ა თ, მოსალოდნელია კატასტროფის წინაშეც კი ვერ წავა კომპრომისზე... (ჭ. ამირეჯ.); სოლომონ ბრძენის ბაღი ამ ბაღს, ა ლ ბ ა თ, სოლომონ ბრძენის სიცოცხლეშივე შეარქვეს (რ. მიშგ.).

ა ლ ბ ა თ შეიძლება განკერძოვდეს წინადადებისაგან მეორეხარისხოვან წევრთან ერთად, ე. ი. სხვა ზმნისართების მსგავსად, მოგვევლინოს განკერძოებული წევრის საკავშირებელ სიტყვადაც. მაგ.:

35 უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: ფუნქციურად იგი ჩართულთან არის ახლოს, მაგრამ ფორმობრივად — ნაწილაკთან; სხვა ნაწილაკებისაგან განსხვავებით, ა ლ ბ ა თ, როგორც მოდალური ნაწილაკი, მთელ წინადადებას მიემართება (ისევე როგორც ჩართული) (იხ. В. В. Виноградов, დასახ. ნაშრ., გვ. 177), მაგრამ, ჩართულისაგან განსხვავებით, მძიმეებით გამოყოფას არ ითხოვს, რაკი გაქვევებულია (არაფერს უპირისპირდება) და არც ერთ სიტყვასთან უხერხულ შეხამებაში არ მოხვდება.

სამნი გულიანად ატყაუნებდნენ დომინოს, მეოთხე კი, ალბათ ჩემოდნის პატრონი, შავ ქვეტს ფრთხილად დებდა (გ. დონან.) ზოშორად ნაქსოვი შალი, ალბათ რეცხვის გამო, სასიამოვნოდ დარბილებულიყო და ბზინავდა (რ. ინან.).

აგრეთვე ზმნისართად შედარებით იშვიათად გვხვდება. მისი მნიშვნელობაა და კიდევ³⁷ და ძირითადად -ცა გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციით იხმარება³⁸.

ამ ფუნქციით იგი შეიძლება უშუალოდ უძლოდეს ან მოსდევდეს როგორც შემასმენელს, ისე სახელით გამოხატულ წევრს. მაგ.:

გამორიცხული არ არის აგრეთვე [იგივეა, რაც „გამორიცხული არც ის არის“, რომ სათანადო ინფორმაცია მას ანტიქართული წყაროებიდან აქვს მოპოვებული (გ. ასათ.); რედაქციას აგრეთვე სტუმრობდნენ ეჟრნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი... და ვაზ. „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე... [სხვაგვარად: რედაქციას ეჟრნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი და ვაზ. „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილეც სტუმრობდნენ] („ახ. კომ.“)... ჩვენი წამქეზებულში იმყოფებოდნენ აგრეთვე პეტერბურგში [სხვაგვარად: იმყოფებოდნენ პეტერბურგშიც] (ი. მანვეტ.).

აგრეთვე და **ც(ა)** ნაწილაკი შეიძლება ერთდროულადაც შეგვხვდეს. მაგ:

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლის... წინაშე დასმული პრობლემებიც („თბილ.“).

ც(ა) ნაწილაკის ფუნქციით ხშირად გვხვდება აგრეთვე ნაწილაკი შერწყმულ წინადადებაში — ერთგვაროვანი წევრების საკავშირებლად (და კავშირის გვერდითაც). მაგ.:

ცვილისებრი სიმწიფის (დაბაზების) დროს მცენარე კარგავს მწვანე ფერს და ყვითლდება, ქვედა ფოთლები ხმება, ყვავილენი და აგრეთვე მარცვალი ლეპულობს [იღებს!] მათთვის დამახასიათებელ შეფერვას (ა. ჭაფარი); უხვი თოვა და ძლიერი ქარი, აგრეთვე 30 გრადუსიანი ყინვა, სერიოზულ სიძინელებს უქმნის ტრანსპორტს, რკინიგზების მუშაობას... („კომ.“).

ერთგვაროვან წევრებთან აგრეთვე და კავშირის ფუნქციასაც ასრულებს. მაგ.:

განყოფილების, აგრეთვე გაერთიანების მუშაები სისტემატურად მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მიმდინარე დეკადურ თათბირებში... („კომ.“).

37 ქველ. 1.

38 იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 611.

თუ ერთგვაროვანი წევრები რამდენიმეშემადგენლიანია, აგრეთვე განკერძოებისაკენ ისწრაფვის და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. მაგ.:

გავიარეთ ეს საშიში ადგილები და აგრეთვე კედლებით შემოზღუდული და ზემოდან მაგრად დახურული ადგილი (ი. მანსვეტი).

(ცხადია, აქ ინტონაციური განკერძოება იგულისხმება).

ჩართულად რეალიზდება აგრეთვე ნაწილაკი, როცა იგი რთულა თანწყობილი წინადადების ნაწილებს აერთიანებს და კავშირთან ერთად. მაგ.:

...იგი [მახა] უძველესი მცენარეა... ახასიათებს მძლავრი პარტყო-
ბა ზამთარგამძლეობა და, აგრეთვე, (=ამასთანავე, თანაც) სოკო-
ვანი დაავადებისადმი გამძლეა (ა. ჯაფარი).

აგრეთვე ნაწილაკი წინადადებისგან მიმჩევივით უნდა გამოიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ჩართულის ფუნქციას ასრუ-
ლებს.

უბრალოდ. ამ ზმნისართის მნიშვნელობაა: ჩვეულებრივად, სადად, მარტივად. მაგ.: ბატონიშვილს უბრალოდ ეჭირა თავი... (ვ. ბარნ.)³⁹.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში იგი ხშირად იხმა-
რება ნაწილაკის ფუნქციით და ენაცვლება შესიტყვებას სხვა არაფე-
რი (როგორც შემასმენლის, ისე სახელით გამოხატული წევრის გვერ-
დით). მაგალითად:

...არც საყვარლად უნდოდა იგი და არც ცოლად, უბრალოდ, გამოცდილ
ქალი სვირდებოდა... (ო. ჭილი); ...ეგებ ავ-ფთონიანი ავტოგრაფი არსებობდა და
დაიკარგა, ეგებ დღესაც არსებობს და უბრალოდ, ვერ მივაგენით („კრიტი.“); და-
სავლელი პროდიუსერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთან თანამშრომლობა,
უბრალოდ, არ არის მომგებიანი („თბილ.“); უბრალოდ, გვარებია ჩამო-
თვლილი, მაგრამ ამ გვარებს ქართული ფენხურთის ისტორიისათვის დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს... („ლელო“); ზედმიტტი პუმანურობისა თუ, უბრალოდ, უბრინცი-
პობის გამო, ახალგაზრდული ფესტივალის ეიფორის წევრები... ცდალობდნენ ჯილ-
დოს გარეშე არც ერთი ფილმი არ დაეტოვებინათ... („ახ. კომ.“).

უბრალოდ ნაწილაკის ფუნქციით სასაუბრო ენის შემონატანი ჩანს სალიტერატურო ენაში. მისი ფართოდ გავრცელებისათვის (რაც თავისთავად არასასურველი მოვლენაა) ხელი უნდა შეეწყოს რუსული ენის გავლენასაც (შდრ. просто)⁴⁰. სხვა მოდალური ნაწილაკებისაგან განსხვავებით, უბრალოდ ნებისმიერ პოზიციაში განკერძოებულია ინ-

³⁹ ქეგლა VI.

⁴⁰ იხ. გსკს, VII, გვ. 333-334.

ტონაციურად და ჩართული სიტყვის ფუნქციის ასრულებს. ამიტომ უნდა გამოიყოს კიდევ წინადადებისაგან მძიმეებით.

მის ინტონაციურ დამოუკიდებლობას ხელს ისიც უწყობს, რომ ზმნისართის მნიშვნელობა არ არის დაბნელებული და, შესაძლებელია, მან სემანტიკურად შეუხამებელი წყვილი შექმნას წინადადების რომელიმე წევართან. მაგ.: ზემოთ დამოწმებულ წინადადებაშიც — „დასავლელი პროდიუსერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთან თანამშრომლობა, უბრალოდ, არ არის მომგებიანი“ — თუ უბრალოდ არ გამოიყოფოდა მძიმეებით და შემასმენელთან მეზობლობაში ვითარების გარემოებად მოგვევლინებოდა, მთელი წინადადება შეიძლებოდა შეცდომით ასე გააზრებულიყო: ...**უბრალოდ** = **ტყუილუბრალოდ** (შემთხვევით, უმიზეზოდ) არ არის მომგებიანი.

შევნიშნავთ, რომ ნაწილაკადაც უადგილოდ ხმარებული უბრალოდ ცვლის წინადადების აზრს. მაგალითად:

...ამჯერად თბი გარემოება უბრალოდ [უნდა იყოს: აუცილებლად, გადაჭრით] მოითხოვს უბასუხოდ და უკომენტაროდ არ დაეტოვოთ ნიკელი კოლეგების ცდა („კომ.“)41.

ჩართულის ფუნქციით გვხვდება კავშირიც **მაშასადამე**, რომელიც წარმოშობით რთული სიტყვაა. იგი შედგენილია **მაშა** და **სადამე** ნაწილაკებისაგან, რომლებიც ძველ ქართულში საკავშირებელ სიტყვებად იხმარებოდა „ცალ-ცალკეც და სინთონიმური წყვილის სახითაც... მათი დანიშნულებაა ლოგიკური კავშირის დამყარება წინამაველ მსჯელობასთან, დასკვნითი დებულების დაკავშირება წინამძღვართან, წინამავალი აზრის დადასტურება, განვითარება და ან ახსნა“42. აღნიშნული მნიშვნელობით **მაშასადამე** უმეტესად წინადადების თავში გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში იგი ხშირად იწყებს აბზაცს. მისი სინონიმებია: **ამგვარად**, **ამრიგად**, **ამდენად**, **ახე რომ...** ყოველთვის განკერძოებულია და გამოიყოფა მძიმით. მაგალითად:

მაშასადამე, ეფერმ მცირეს იდეოლოგიური სახე ჩვენთვის მთლიანად გამოარკვეულია (მ. გოგობ.); **მაშასადამე**, მორფოლოგიურ თვალსაზრისით ზმნა არის მეტად რთული შინაარსის სიტყვა... (ა. შან.).

ეს კავშირი გვხვდება წინადადების შუაშიც:

ფსიქიკურისადმი აპელაცია ახსნის დროს, **მაშასადამე**, ისევე კანონზომიერია, როგორც ფუნქციითა აღწერის დროს (არნ. ჩიქ.); თუ იგი [სხვაობა სიკეთესა

41 ქსკს, VII, გვ. 334.

42 დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99-100.

და ბორცებს შორის] ღმერთმა დაწესა, მაშინ თვით ღმერთისათვის არ არსებობს განსხვავება სიკეთესა და ბორცებს შორის, და, მაშასადამე, მტკიცებას; ღმერთი კეთილიაო, აზრი აღარა აქვს (კ. კეკ.); რაკი პატიმრები გარეთ გამოუშვეს, შეთქმულნი, მაშასადამე, დარწმუნებული იყვნენ, რომ სოლომონი მათი შემწეობითაც ვერაფერს გახდებოდა... (რ. ჭაფარ.).

მაგრამ **მაშასადამე** კავშირს აქვს მეორე მნიშვნელობაც — განმარტებითი: **ესე იგი. მაგ.:**

30 თიბათვეს, მაშასადამე, გუშინ ჩვენთან მობრძანდნენ... (ი. მკვაე, თარგმ.)⁴³ ქრისტეს შობის დღესასწაული, ქრისტიანობამდე, ყველგან, მაშასადამე ჩვენშიაც იყო დღესასწაული მითრას შობისა (კ. კეკ.).

ამ მნიშვნელობით **მაშასადამე** უკვე განკერძოებული წევრის საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას ასრულებს და იმ წევრთან ერთად უნდა გამოიყოს მძიმეებით. ე. ი. უნდა იყოს: 30 თიბათვეს, **მაშასადამე** გუშინ, ჩვენთან მობრძანდნენ; ...ყველგან, **მაშასადამე**, ჩვენშიაც, იყო...

3. ზმნის ფორმები ჩართულის ფუნქციით (ე. წ. „პრედიატული ჩართულები“)

ჩართულის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს: ა) ზმნის პირიანი ფორმები — დამოუკიდებლად, ბ) შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე გამოთქმები; გ) აღნიშნული ფორმებით შედგენილი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები. ასეთებია: **ეტყობა||ეტყობოდა** და **როგორც ეტყობა**; **ჩანს** და **როგორც ჩანს**; **ვფიქრობ||ვფიქრობდი** და **როგორც ვფიქრობ** (||**როგორც ფიქრობს**); **მახსოვს** და **როგორც მახსოვს**; **ვგონებ||მგონია** (||**მგონი**); **წარმოიდგინეთ**; **რა(ღა) თქმა უნდა** (||**თქმა ა(ღა)რ უნდა**); **შეიძლება||შესაძლებელია** და **განა შეიძლება ან სახვებით შესაძლებელია**; **ცხადია** და **თავისთავად ცხადია**; **ბუნებრივია**, **უეჭველია**, **რასაკვირველია**, **მართალია** და სხვ.

აქ განვიხილავთ **ეტყობა** ტიპის ფორმებს და **რასაკვირველია** ტიპის ერთსიტყვიან გამოთქმებს, რადგან მათთან დგება ფუნქციითა განსახლდვრის საკითხი და ჩნდება სადავო საკითხები პუნქტუაციის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ მოდალურ ზმნათა ერთი ნაწილი დღეს ნაწილად კარგადაა ქცეული. ასეთებია: **ლამის**, **ეგებ(ის)**, **უნდა**, **იქნებ...** როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ასეთსავე ტენდენციას იჩენს ჩართულად ხშირად გამოყენებული **ვთქვათ**, **ვნახოთ**, **დავუშ-**

ვათ... აგრეთვე შეიძლება... გამოთქმულია ვარაუდი, რომ... ზოგიერთი დღევანდელი ნაწილაკი სწორედ ჩართულის ტიპის ზმნური გამონათქვამიდან ჩანს წარმოშობილი. ასეთებია: თითქოს (—თუ ითქვას=თუ შეიძლება ითქვას), მგონი(ა) (||მგონი)...⁴⁴ და რომ „(არა) მგონია, მგონი გამოთქმის მაგალითზე კარგად ჩანს თანამედროვე ქართულში ჩართულის ტიპის განკერძოებული გამოთქმის ნაწილაკად ქცევის პროცესი, რაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის“⁴⁵. ამიტომ მგონი(ა) „ჩართულად ააგაზრებული (ხაზვასმა ჩეენია, ნ. ც.) ზოგჯერ ამეამადაც“⁴⁶.

მოდალური ზმნების ნაწილაკად ქცევისათვის მართლაც ხელი უნდა შეეწყოს ამ ზმნების ხშირ მონაწილეობას ე. წ. ჩართულ გამოთქმებში, — გამოთქმებში, რომლებშიც ეს ზმნები ქმნიდნენ ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციას და დამხმარე ზმნის როლში გამოდიოდნენ⁴⁷. მაგრამ უფრო ზუსტი იქნება ალბათ ვთქვათ, — არა ჩართული იქცა ნაწილაკად, არამედ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სრულმნიშვნელოვანი სიტყვა — ზმნა, დამხმარე ზმნად გამოყენების ვხით, თანდათან გაცვდა სემანტიკურად და იქცა არასრულმნიშვნელოვან, დამხმარე სიტყვად — ნაწილაკად. ზოგიერთი ეს ნაწილაკი კი (მაგ., მგონი(ა) გარკვეულ სინტაქსურ პირობებში ასრულებს ჩართულის ფუნქციას.

ზმნის ამა თუ იმ პირიანი ფორმის ფუნქციას (ნაწილაკია იგი თუ ჩართული) განსაზღვრავს ძირითადად ისევ და ისევ სიტყვათაგანლაგება თუ ინტონაცია.

წინადადების თავში მოქცეული ზმნის პირიანი ფორმა, განურჩევლად იმისა, თუ რა პოზიციაშია იგი მეორე ზმნა-შემასმენლის მიმართ, ინტონაციურად გამოყოფილია წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. პაუზა ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის, ცხადია, ხანგრძლივი არ არის⁴⁸.

ა) ჩართული კონტაქტურ პოზიციაშია ზმნა-შემასმენლის მიმართ:

44 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 614; ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვის ფუნქციები... ქსკს, IV, გვ. 157 და 164—165.

45 ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

46 იქვე, გვ. 177.

47 ამ კონსტრუქციის რაობისათვის და სწორედ ინფინიტურ კონსტრუქციის გველი ზმნური წარმოშობის ნაწილაკების მიღებისათვის იხ. ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 161—163.

48 რ. შამუგელის აზრით, წინადადების თავში მდგომი ჩართულება, რაკი „ისინი სემანტიკურად მთელ წინადადებას ეკუთვნიან, წარმოითქმიან მთელ წინადადებასთან მთლიანობაში და ამით მის ორგანულ ნაწილად გამოიღიან“. ი. შამუგელი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

...ე ტ ყ ო ბ ა, დაუგვიანდა ამბოხი, ანდა უბრალოდ არ ეწერა უპირო კაცის სახელით რომ წასულიყო ამ ქვეყნიდან (თ. ჭილა); ე ტ ყ ო ბ ა დაჩვეული არ იყო აქიური ხალხი ასეთ არასასურველ სტუმრებს და ეს ამოდენა ციხე-სამაგრეც იმიტომ აევით... (გ. ჭილა); შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ხმა გაიღოს ფლოქვის ქვეშ, მაგრამ სიტყვას არ დასძრავს... („მნათ.“).

ბ) ჩართული დისტანციურ პოზიციაშია ზმნა-შემასმენლის მიმართ:

...მ გ ო ნ ი ეს ნაგაზი გუშინაც შეზვდა, გუშინაც ასე უპატრონოდ დაწინწალებდა (ა. სულაქ.); ვ გ ო ნ ე ბ, აქ ცოტაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ გარემოებასაც, რომ იმის სახელია გაგონება უნებლიეთ გამოიწვევდა საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის პლატონის სახელს (ი. მანვეტ.) შ ე ი ძ ლ ე ბ ა, რუსთაველი მანიქველურ მოძრაობას თანაუგრძნობდა და თავისი ოპოზიციონერობა ოფიციალური ქრისტიანობის მიმართ აქედან აიღო (მ. გოგვ.); შ ე ს ა ძ ლ ო ა, სცენაზე გასვლის მოთხოვნის იმანაც გაგვიმძაფრა, რომ უფრო ხშირად კულისებში გვიხდებოდა ყურყურტი. (გ. ასათ.).

წინადადების შუაში მოქცეული იგივე სიტყვები ფუნქციურ სხვაობას ავლენენ სხვადასხვა პოზიციაში:

წინადადების ძირითად ზმნა-შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში ისინი უფრო დამოუკიდებელი არიან ინტონაციურად და ჩართულის ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად:

...მუცელში დაძვრებულმა ძალამ, ე ტ ყ ო ბ ა, მთელი ტანით შენობაბრუნა (თ. ჭილა); რაკი იმ წუთას მაინცდამაინც შენ გამოვარდი ნასაყდრალადახ, შ ე ი ძ ლ ე ბ ა, სულ სხვის მაგივრად გდიხარ ახლა პირქვე... („მნათ.“); ...ყველა ქალაქის აღდგენისას გარდუვალა ერთი: აღდგენილს, შ ე ს ა ძ ლ ო ა, ცოტა თეატრალურა იერი დაჰკრავდეს... („თბილ.“).

ზმნა-შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში კი ისინი ინტონაციურად გამთლიანებულ წყვილს კმნიან შემასმენელთან ერთად დამოდალური ნაწილაკის ფუნქციას ასრულებენ. წინადადების „ღერძი“ — ზმნა-შემასმენელი შეიძლება სხვადასხვა ნაკვეთი იყოს. ჩვენი მასალის მიხედვით, ყველაზე ხშირად იგი უწყვეტიელშია ან წყვეტილში. მაგალითად:

მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და, მ გ ო ნ ი, ი ტ ი რ ა კ ი დ ე ც (ილია); ...ღედას ისეთი სახე ჰქონდა, მ გ ო ნ ი ს ა ყ ვ ე დ უ რ ო ბ დ ა (ა. სულაქ.); ვილაყას, ე ტ ყ ო ბ ა, ა გ ვ ი ა ნ დ ე ბ ო დ ა და მოსაცდელ ოთახში ერთთავად წრიალებდა (გ. დოჩან.); კომისიას, ე ტ ყ ო ბ ა, მ ო ე წ ო ნ ა ჩემი ნამუშევრები, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები მთავრდებოდა... („თბილ.“).

განსაკუთრებით ამკარაა აღნიშნული წყვილის ინტონაციური მთლიანობა, როცა მოდალური ზმნა III პირის ფორმითაა წარმოდგე-

წილი და ზოგადი აწმყოს სემანტიკისაა, ხოლო ძირითადი შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნაა. მაგალითად:

...ის, რაც ზოგადია (უნივერსალურია) ენებისათვის, შეიძლება, აღმოვაჩინოთ არა ლოგურ მსჯელობათა გზით, არამედ ენათა ფორმებს ერთმანეთთან შედარებით... (რ. ენუქ., თარგმ.).

ანდა, როცა მოდალურ ზმნასა და შემასმენელს შორის დარღვეულია ნაკვეთა შესაძლებელი შეხამება:

შეიძლება გვევარაუდა [შდრ.: შეიძლება, გვევარაუდა], რომ ისინი შეედგებოდნენ ერთმანეთს („ეკრ. ამბ.“); მეზობლები... ამაოდ დაშვრენ ლოდინით. კოტიკოს ქალიშვილი გარეთ გასვლას, ეტყობა, არ აპირებდა [შდრ.: ეტყობოდა, არ აპირებდა] (ა. სულაქ.).

ინტონაციური დანაწევრება — გათიშულობა განსახილველი წყვილისა (მოდალური სიტყვა+ზმნა-შემასმენელი) ნაკლებად იგრძნობა მაშინაც, როცა მათ შორის ერთი სიტყვაა (ზმნა-შემასმენლის უახლოესი ობიექტი), ან — დამხმარე სიტყვები. მაგალითად:

მამა, ეტყობა, დღეურს სწერდა... (თ. ჭილ.); მამიდა ყამარმა ბეღეა თავიდანვე მოვარის მხველად განაწესა და, შეიძლება, ამიტომაც არასოდეს (არ) უფიქრია სხვანაირ ცხოვრებაზე (თ. ჭილ.).

განხილული წინადადებები მსგავსებას ავლენენ ე. წ. ინჟინიტიურ კონსტრუქციასთან (**გთხოვთ გამათავისუფლოთ** ტიპისა). ისინი „აგებულებით... ჰიპოტაქსური კონსტრუქციისანი არიან, მაგრამ აწვთ მარტივი წინადადების სემანტიკა“⁴⁹.

თუ მოდალური ზმნა არის არა III პირის (და ზოგადი აწმყოს), არამედ I ან II პირის (და რომელიმე საუღლებელი ნაკვეთის) ფორმა, მაშინ იგი ზმნა-შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაშიც კი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, განკერძოებულია და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. მაშასადამე, ე. წ. „პრედიკატული ჩართულები“⁵⁰ ფუნქციას (ზმნისართ-ჩართულებისაგან განსხვავებით) განსაზღვრავს არა მარტო სიტყვათგანლაგება და ინტონაცია, არამედ — მათი ფორმაც⁵¹. მაგალითები:

...რა გაქვს, რისთვის უნდა მოგვლას შენ ავაზაკმა? ერთი სტლიერი საუნჯე გქონდა და, ვგონებ, ისიც დაკარგე (ვაყა); მე ამ ქვეყნისათვის ავი არ ვიყავ, მე მარტო უბედური ვიყავ. ბევრი წილი ცოდვა, მე მგონია, აქავ გადავიხადე

49 ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

50 შდრ. ინჟინიტიური კონსტრუქციის წევრთა შორის მიმართებაც დამოკიდებულია ამ წევრთა ფორმაზე: ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

(ილია); ...გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცემა დედასა. გეგონია, პირველობასა და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა (ილია); მამაკაცი მიბრუნდა, ასანთს გაჰკრა და, გეგონებოდათ, ქარი უბერავსო, დახრალმა... მოუკლა პაპიროსს (რ. ინან.).

საინტერესოა ამ მხრივ ის ჩართულები, რომელთაც შედგენილი შემასმენლის ფორმა აქვთ: ცხადია, რასაკვირველია, უეჭველია, ბუნებრივია, მართალია და მისთ. ეს სიტყვები შეიძლება შეგებდეს წინადადების თავში, შუაში და (იშვიათად) ბოლოშიც; ზმნა-შემასმენლის მიმართ — ნებისმიერ პოზიციაში... და ყველა პოზიციაში ისინი აშკარად დამოუკიდებელ, განკერძოებულ ერთეულებს წარმოადგენენ; ინტონაციურად გამოყოფილნი არიან წინადადების დანარჩენი ნაწილებისაგან. მაგალითად:

ა) წინადადების თავში, ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში:

რასაკვირველია, იყენენ ისეთნიც, რომელნიც უნდობლობით, ეჭვის თვლით უყურებდნენ ჩვენს ლაპარაკსა (ი. მანსვეტი); ბუნებრივია, გაინტერესებთ, როგორ მოვიდა ეს სამი ახალგაზრდა წლევანდელ თბილისობაზე?... („ახ. კომ.“); ცხადია, ვიმუშავებ ახალ ლირიულ ლექსებსა და თარგმანებზე („წიგნ. სამყ.“).

ბ) წინადადების თავში, ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში (შევნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით წინადადების თავში ჭარბობს სწორედ დისტანციური პოზიცია, ე. ი. თითქოს უფრო ხაზგასმულია ჩართულად გამოყენებული სიტყვების განკერძოებულობა). მაგ.:

რასაკვირველია, ხშირად შემხვედრია ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ზედ გზის პირას იდგა... (ილია); მართალია, ჩემს ერთგულობას გამო ბევრს შეეძულდი, ბევრი მოვიმდურე, მაგრამ ღმერთთა მოწამე, უსამართლობა არავისთვის გამიწვია (ილია); რასაკვირველია, ყოველი ქეშმარიტი ხელოვანი გულსხმობს განუმეორებლობას („კრიტ.“); ბუნებრივია, არც ჩემს ფიქრში წარმოსახული მუზეუმი იქნება მთლად იდეალური („თბილ.“); ცხადია, ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებამ რედაქციის წინაშე უფრო მწვავედ დააყენა სადავო ენობრივი საკითხების მოწესრიგების საჭიროება... („კომ.“).

გ) წინადადების შუაში, ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში:

ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაზზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გივიას“ დუქანებს ამ მოთხრობის უხვირო დამწერსა (ილია); თუ რუსთაველი მანიჭეველია, ცხადია, მისი ღმერთი, უპირველეს ყოვლისა, მანიჭეველი უნდა იყოს

(მ. გოგობ.); როდესაც შენ წინ დაუძინებელი მტერი დგას, შენი დამტკევე და დამამ-
ხობელი, ცხადია, ყველაფერი გაქულს მისი (გ. ასათ.);

დ) წინადადების შუაში, ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ
პოზიციაში:

გრ. ორბელიანს ახალგაზრდებმა შეუტეეს. მან რასაკვირველია, იუკად-
რისა ახალი მწერლების გამოლაშქრება (ი. მანსვეტი); ქუთაისის თეატრი ჩემი
დროის ახალგაზრდობისათვის, რასაკვირველია, არ იყო მარტოოდენ და-
სვენებისა და ვართობის ადგილი (გ. ქიქ.)... მას [პეტრიწს]... უნდა ქრისტიანობა გო-
ნერი და დასაჯერებელი გახადოს და, რასაკვირველია, არ გრძნობს, რომ
მომავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს (მ. გოგობ.); ვაჟა-ფშაველას თემა-
ტიკა, სულიერი სიმალეები, ცხადია, არ იფარგლება მხოლოდ ეროვნული
ინტერესებით („კრიტი.“).

ე) წინადადების ბოლოს (აბსოლუტურ ბოლოში ან თანწყობილი
წინადადების პირველი შემადგენლის ბოლოს):

...ხალხმა დაუგერა, რასაკვირველია, და ამით გათავდა ეს უცნაური
ამბავი (ავაკი): ...ალზრდამი მარტო ზრდილობას არ ვგულსხმობ, რასაკვირ-
ველია („თბილ.“).

ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში ჩართული და
ზმნა-შემასმენელი შეიძლება ერთი ინტონაციური მახვილით წარმო-
ითქვას, განსაკუთრებით მაშინ, თუ წინადადება მარტივი გაუფრცო-
ბელია. მაგალითად, წინადადებაში, — „ყოდალასაც, რასაკვირველია,
გაუხარდა“ (ვაჟა), — ჩართული ინტონაციურად არ გამოიყოფა წინა-
დადების წევრებისაგან. მაგრამ ამ სიტყვების განკერძოებულობას ნე-
ბისმიერ პოზიციაში ხელს უწყობს მათი ფორმაც: ა ზმნური ელემენტი
მათ წინადადების ტოლფას ერთეულებად აქცევს. მათი კავშირი წინა-
დადების დანარჩენ ნაწილებთან კი ჰიპოტაქსური ხასიათისაა. ზოგი ამ
ჩართულთაგან შეიძლება წარმოშობით რთული წინადადების ნაწილი
იყოს. ასეთი აზრია, მაგალითად, გამოთქმული მართალია ჩართულის
შესახებ⁵¹.

საკმარისია, აღნიშნული სიტყვებიდან რომელიმე მოხვედეს შესიტყ-
ვებაში თუნდაც დამხმარე სიტყვასთან ერთად, რომ მთავარი წინადა-
დების როლში გამოვიდეს და რომ კავშირით გამოეყოს წინადადებას.
მაგ.:

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშვს სასაბღოში ყველა-
ფერი მუღუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი... (ავაკი); ...მაგრამ უეჭ-
ველია, რომ ნაწარმოებას „ტილის იდეა“ უნდა წარმართაედეს მწერლის ენას
კვლევასაც („საენათმ. ძიებ.“).

⁵¹ ლ. კვაჭიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 413.

მაგრამ შდრ.:

ადამიანს უძველეს დროშივე გაუჩნდა სიტყვის გემო, რომლის დაკმაყოფილების უძველესი წყაროს თავლი წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ადამიანი სარგებლობდა როგორც ფუტკრის, ასევე მცენარის თავლით (ალ. რობ.).

ზმნური ფორმის ჩართულების რომ კავშირით გამოყოფა წინადადებისაგან სალიტერატურო ქართული სათვის მიუღებლად ითვლებ⁵².

*
* *

წარმოდგენილი დაკვირვებების მიხედვით, ჩართულ სიტყვებში თითქოს სამი ფენა გამოიყოფა:

1. „საკუთრივ ჩართულები“, რომლებიც რედუცირებულ წინადადებებს წარმოადგენენ ან წინადადებათა ტოლფარდნი არიან და რომელთა მნიშვნელობაში მოდალური ნიუანსი ჭარბობს. ისინი ნებისმიერ პოზიციაში ჩართულის როლს ასრულებენ (და მთელ წინადადებას მიემართებიან). ესენია: ზმნისართები **სამწუხაროდ, საბედნიეროდ, ბედად...** და შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები (**რასაკვირველია, ცხადია...**).

2. დამხმარე სიტყვები (ნაწილაკები, კავშირები), რომლებიც მხოლოდ სტილური დანიშნულებით ხშირი გამოყენების გზით „ზედმეტ სიტყვებადაც“ კი იქცევიან (**მაშასადამე, უბრალოდ** და მისთ.).

3. სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ (ვითარების გარემოებისა, ჩართულისა ან განკერძოებული წევრის საკავშირებელი სიტყვისას — ზმნისართები — **განსაკუთრებით, ძირითადად, კერძოდ, მაგალითად...** ჩართულისა ან მოდალური ნაწილაკისას — ზმნის პირიანი ფორმები — **შეიძლება, ეტყობა, მგონი, ჩანს...**).

ჩართულ სიტყვათა უმრავლესობა წინადადებაში ჩართული კი არ არის, არამედ განკერძოებულია წინადადებისაგან. რაკი მათ განკერძოებას ხელს უწყობს სიტყვათგანლაგება და ინტონაცია, რაკი მათთვის დამახასიათებელია ფუნქციათა მონაცვლეობა სინტაქსური პირობების შესაბამისად, მათთან დაკავშირებული პუნქტუაცი-

⁵² ლ. კვაჭაძე, იმვე.

ური შეცდომები ტიპობრივია (და ერთგვარად კანონზომიერიც)⁵³. კერძოდ:

1. ზ მ ნ ის ა რ თ ე ბ ის არასწორი განკერძოების სამი შემთხვევა გვაქვს:

ა) განკერძოებულია იმ ზმნისართით გამოხატული ვითარების გარემოება, რომელიც ხშირად გვხვდება ჩართულის ფუნქციით. მაგ.:

...სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ძირითადად, მოდიოდა მშრალი, ხანგრძლივი შენახვისათვის ვარგისი („კომ.“); მწვანე სასუქების გამოყენება, განსაკუთრებით, ხელსაყრელია მსუბუქ ქვიშნარ და ბორცვიან-გორაკიან პირობებში (ა. ჯაფარი); დილის ოპერატიული თათბირები, ჩვეულებრივ, აქ იმართება („დროშა“).

ბ) ზმნისართი დანართის საკავშირებელი სიტყვაა და მძიმე მხოლოდ მის წინ (და დანართის შემდეგ) უნდა იყოს. გაგებულია კი ჩართულად და ორივე მხრიდან გამოყოფილია მძიმეებით:

...რამ შესძრა ათასობით და ათი ათასობით ადამიანის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის გული და გონება („ლიტ. საქ.“); ...საუბროსას შეეხენ სპეციალისტების, კერძოდ, ინჟინრების მომზადებაში უმაღლესი სკოლის ამოცანებს („ლელა“); მოხუცი ადამიანის, საერთოდ, უფროსის პატივისცემა ყველაფერში უმაღლეს ზნეობრივ კანონად არის მიჩნეული („თბილ.“).

გ) მძიმეებით (ან ცალი მძიმით) არის გამოყოფილი (ე. ი. ჩართულადაა გააზრებული) ზმნისართები, რომლებიც ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ფრაზის ლოგიკური მახვილი მათზე მოდის.

აქი, ფაქტიურად ამოვადეთ ჩვენი მიმდინარე ლიტერატურული პროცესიდან და, მასთან ერთად, ხელოვნების სხვა დარგებიდან... გმირული ჟანრი, ტრაგედია („ლიტ. საქ.“); ამ ორი გუნდის შეხვედრა, ფაქტიურად გადაწყვეტთ იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირში („თბილ.“); დღეს, ხშირად, მეტი სითამამით იტყვიან ხოლმე... („კრიტ.“); ...თუ მომღერალი მაღლევებს, უმაღლეს შეუმცდარი დასცენა გამომაქვს („საბჭ. ხელოვნ.“).

⁵³ არ გამოვრიცხავთ პუნქტუაციის ხმარებისას შემთხვევითობასაც (კორექტურას). მაგ.: „შეგნება იმისა, რომ შენი კოლექტივი, შენი საწარმო მთელს ქალაქში ცნობილია... ზუთუოდ გმატებს სიამაყეს და, ბუნებრივია, სურვილი თვითონაც ისე გაისარჯო, რომ იყო მისი ღირსეული წევრი („განთ.“). [ავადმყოფობა]... რომელიც თითქოს ლიკვიდირებული იყო, ბოლო ხანს კვლავ გავრცელდა... რაც ძირითადად თვითმკურნალობით და, კერძოდ, მკურნალობით... აიხსნება („კომ.“).

2. მძიმეებით გამოყოფენ ლოგიკური მახვილის მქონე თითქმის ყველა მოდალურ ნაწილასა და შორისდებულს (მით უფრო — თუ ისინი შემასმენლისაგან დაშორებულნი არიან). მაგ.:

...გაიგეს მერე, რომ უბატონოა და, ლამის, სულს იქით აღარაფერი შემანარჩუნონ (ვაცა); ცხოვრებას ბევრი განსაცდელი სდევს და, ვაითუ გაუძნელდეს სუსტსა და უზრუნველობას ჩვეულს (გრ. აბაშ.); ამხელა გარაჟში, ბარე მასამდე მძლოლი დაითვლება და კნაბე მხოლოდ მალა ნიკალს ენდობა (გ. ხორგ.); ამაზე, იქნებ, უნებურად უფიქრია რომელიმე ფიზიკოსს... („ახ. კომ.“); თითქოს, მოვისმინეთ მისი საუბარი ვალაკიონზე... („თბილ.“); ...ტელევიზიაში, თურმე, დაუსრულებლად მოდიოდა წერილები („თბილ.“); თურმე, ბევრი მათგანი ცნობილი ყოფილა („კომ.“)⁵⁴.

გარდა ლოგიკური მახვილის ინტენსივობისა, ზოგიერთი სიტყვის განკერძოებას შეიძლება ხელს უწყობდეს სხვა ფაქტორებიც; მაგალითად, ნაწილაკისა და ზმნის ბუნებრივი შეხამების დარღვევა. მასალის სიმცირის გამო იგი დამატებით დაკვირვებებს მოითხოვს⁵⁵. თურმე ნაწილაკის განკერძოება შეიძლება რუსული ენის გავლენის შედეგიც იყოს „...ყოველ ენას აქვს რაიმე სტრუქტურული თავისებურება. ერთი და იმავე შინაარსის ფრაზა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აიგება. მაგ., მეზობელს აუშენებია სახლი. შდრ. რუსული *соседи оказываются, построил дом*“⁵⁶. მაშასადამე, თურმეობითის ნაკვთის ზმნასთან სიტყვა თურმე ქართული ენისათვის „ჭარბი“ ნაწილაკია. სხვა ნაკვთის ზმნასთან იგი კონტაქტურ პოსტპოზიციას არჩევს. (გააკეთა თურმე, უბრძანა თურმე, წერს თურმე და მისთ.).

მაგ.:

თუკი როგორმე წარსულში შებრუნება შესძელი, მერე კი წარსულს გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები (თ. ქილ.).

ნაწილაკი განკერძოვდება, თუ წინადადების რომელიმე სხვა წევრს (არა შემასმენელს) მიემართება, მაგრამ განკერძოვდება ამ წევრთან ერთად. მაგალითად:

54 პუნქტუაციის შესახებ ზოგიერთ ასეთ ნაწილაკთან და შორისდებულებთან იხ. ნ. ბასილაია, დასახ. ნაშრ., გვ. 171—178.

55 შემასმენლისა და ნაწილაკის შეხამების შესახებ იხ. შ. აფრიდონიძე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, № 3, გვ. 23—27.

56 ა. რ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968, გვ. 108.

ყველა სულდგმულის ბედი, თითქმის უსულო სიცოცხლე, ცნალებადია (ვაფა); ...მთვარე ამოვიდა, ამოცურდა წაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა (ვაფა); სხვა მელეკეებს, ვისაც კი შევხედრივარ ამ ქვეყანაზე, სიბრალულის მეტი არაფერი აღუძრავთ ჩემში. ისინი, თითქმის უკლებლივ, სვენაკლული ხალხია (რ. ინან.); არსებობენ სხვა ძველთაძველი ძველებიც, იქნებ იმ მიწაგადაფარებულ გალავნებსა და აბანოებზე უფრო ხნიერებიც, მაგრამ შენ მაინც ახალი და შენი თანამედროვე გავიანია (ვ. ჭელ).

3. რაკი ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის პაუზა ხანგრძლივი არ არის, ამიტომ წინადადების შუაში მოქცეული ჩართული ხშირად მხოლოდ ცალი მხრიდან გამოიყოფა ძძიმით. მაგ.:

...როდესაც ახალგაზრდანი სწავლა-დამთავრებულნი დაბრუნდებოდნენ ჩვენში, მაშინვე უსათუოდ სამსახურის ძებნას შეუდგებოდნენ. ეყენი პირიქით, მოზარდ თაობას დაუმეგობრდნენ... (ი. მანსვეტი); ...იმავე დროსვე, რასაკვირველია სკდლილობდნენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებას (აკაკი).

*

* *

ზემოთქმულის საფუძველზე და არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, პუნქტუაციის ძირითადი წესები ასე ჩამოყალიბდება:

1. ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პრეპოზიციამში ყოფნილას ვითარების ზმნისართი ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს და მიიმეებით არ უნდა გამოიყოს. მაგ.:

ეს გამუდმებული ძიება განსაკუთრებით დამახასიათებელია მე-16 საუკუნისათვის (გ. ასათ.); ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისამებრ შეაქამოს და შეკრას ჩვენი დიდი ლირიკოსის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავი (ე. მაღრ.); ამ გადმონაშთებს შორის ბევრმა ძირითადად დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ჩვეულებად იქცა (სოფლ. ცხოვრ.).

2. ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციამში და კონტაქტურ პოსტპოზიციამშიც ვითარების ზმნისართი, რომელიც მთელ წინადადებას მიემართება და სემანტიკურ კავშირს შემასმენელთან ამყარებს, ჩართულის ფუნქციას ასრულებს და უნდა გამოიყოს ერთი — წინადადების თავსა და ბოლოში, ან ორი მძიმით — წინადადების შუაში (შევნიშნავთ, რომ წინადადების აბსოლუტურ ბოლოში ჩართული ზმნისართები თითქმის არ გვხვდება).

მაგ., წინადადების თავში:

ჩვეულებრივ [უნდა გამოიყოს მძიმით!] მანძილი და დრო საყვარულის ტემპს ამცირებს და სიციხველეს ანელებს (მ. გოგბ.).

წინადადების შუაში:

ნიკო მუსხელიშვილმა, წესისამებრ, სათითაოდ ყველა დელეგაცია აღ-
ღებრძელა („მნათ.“).

რთული წინადადების პირველი ნაწილის ბოლოს (და შემასმენლის
მიმართ პოსტპოზიციაში):

გადმოცემითაც არავის ახსოვს, კერძოდ, რომ ზევი თავს დასტყდომოდეს
მულახის სასოფლო საბჭოში შემავალ უძველეს სოფელ ქაშუშს („ახ. კომ.“).

შენიშვნა: ჩართულის ფუნქციას ასრულებენ ზმნა-შემასმენლის მი-
მართ ნებისმიერ პოზიციაში მდგომი შემდეგი ზმნისართები: **სამწუ-
ხაროდ, საუბედუროდ, საბედნიეროდ, ბედად...** მაგალითები:

სამწუხაროდ, ჩვენმა ამ გაფრთხილებამ მოსახლეობის ერთი ნაწილის შემ-
ფოთება გამოიწვია („ახ. კომ.“): ნანგრევებში, საბედნიეროდ, შენობის შე-
მადგენელი ყველა დეტალი იბოვნეს („ცისკ.“); ეს ერთი ხანია, სამწუხაროდ,
გავვიხშირდა ამ სატკივარზე ლაპარაკი („ახ. კომ.“).

3. თუ ზმნისართი (განსაკუთრებით, მით უმეტეს, მეტადრე, ძირი-
თადად, კერძოდ, მაგალითად) სახელით გამოხატულ წევრს მიემართება
და ამ წევრს გამოყოფს რაიმე ნიშნით წინადადების დანარჩენი წევრე-
ბისაგან, მაშინ მასთან ერთად განკერძოვდება და საკავშირებელი სიტყ-
ვის ფუნქციას ასრულებს⁵⁷, ე. ი. მძიმე უნდა დაიწეროს ზმნისართის
წინ და განკერძოებული წევრის შემდეგ. მაგალითად:

...ასპირანტურაში, განსაკუთრებით კლინიკურ დისციპლინებ-
ში, უნდა მივიღოთ ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებსაც პრაქტიკული მუ-
შაობის გამოცდილება აქვთ. („თბილ.“).

თუ იგივე ზმნისართი და ან კი კავშირთან ერთად გამოყოფს ამა
თუ იმ წევრს, მაშინ მძიმე უნდა დაიწეროს და (კი) კავშირის წინ (და
განკერძოებული წევრის შემდეგ), ე. ი. ასე:

ერთი წუთით თვალი გადავაგლოთ საბჭოთა წიგნის, და კერძოდ, ქარ-
თული მხატვრული წიგნის, გამოცემის გზას (რ. ჭაფარ).

და არა: ...საბჭოთა წიგნის და, კერძოდ, ქართული მხატვრული
წიგნის...

⁵⁷ შდრ. ნ. ბასილაია, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

უკანასკნელ შემთხვევაში საბჭოთა წიგნი და ქართული (მხატვრული) წიგნი ერთგვაროვანი წევრები გამოდიან და წინადადების აზრი ირღვევა.

ასევე:

რა არ გესმენია აქ უცხოეთის და განსაკუთრებით შვეიცარიის [უნდა გამოიყოს მძიმეებით] თავისუფალი ცხოვრების შესახებ (ი. მანსვეტი); ვაჟას რწმენით, ყველა მწერალმა, და, მით უმეტეს, დიდმა მწერალმა, [უნდა იყოს: ყველა მწერალმა, და მით უმეტეს დიდმა მწერალმა] მშობლიურ ენაზე უნდა წეროს („ძვ. ქართ. მწ. მკვ.“).

მაგრამ, თუ განკერძოებული წევრი თვითონ არის მრავალშემადგენლიანი, მაშინ ზმნისართი ჩართულის როლში გამოდის. მაგ.:

პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობისას, კერძოდ, დიდი თონეთის სკოლაში მასწავლებლობის პერიოდში, იგი [ვაჟა] საღმრთო რჯულსაც ასწავლიდა („ძვ. ქართ. მწ. მკვ.“); მოქმედების რაიმე პროგრამა, მით უმეტეს, გარკვეული პოლიტიკური მრწამსი, თუთაშხიას არ ჰქონდა („კრიტ.“).

4. ა) ალბათ, რომელიც წარმოშობით ზმნისართია, დღეს მოდულურ ნაწილაკად არის ქცეული. ნებისმიერ პოზიციაში იგი მძიმეებით გამოყოფის გარეშეც არ არღვევს წინადადების აზრს. მაგ.:

ალბათ ყველას გვინახავს ეკრანის წინ თვალუბაცემი მებრუნებული, ინტერესით აღსავსე ცეროდენა... („სოფლ. ცხოვრ.“). შდრ: ყველას გვინახავს ალბათ... ან ყველას ალბათ გვინახავს...

მაგრამ თუ ალბათ შემასმენლისაგან ძალზე დაშორებულია (და წინადადება გრძელია), უმჯობესია, ალბათ გამოეყოთ მძიმეებით. მაგალითად:

ალბათ, ახალგაზრდობას ყველა დროში ანტირესებდა ყოველივე ახალი, აქტუალური, რასაც ჩვენ „მოდურს“ ვუწოდებთ („სოფლ. ცხოვრ.“); იწყება გრიგოლის მრისხანე ნაგარდი ცეცხლმოდებულ მთებში და, ალბათ, ქვეყნად ძალიან ცოტა ადამიანი თუ აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც გრიგოლივით მარჯვნივ და მარცხნივ ეჭნიოს ხმალი (ე. მაღრა.); თავისი მხატვრული მიგნებებით, ალბათ, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილია ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა... დარბაზობის შემდგომ („ცისკ.“).

ბ) სიტყვა აგრეთვე ც(ა), კიდევ ნაწილაკების როლს ასრულებს შემასმენელთან უშუალო მეზობლობაში და მძიმით არ უნდა გამოიყოს. მაგ.:

3. ტაბიძის თარგმანიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ნაკადულში“ გამოქვეყნებული „რადაა ზღვა მარლიანი“ (ნ. ტაბ.); ეპითაღმწერლის... მონაცემებს

ითვალისწინებს, აგრეთვე, [არ უნდა იყოს გამოყოფილი მძიმეებით] „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომის თანავტორი... („ციცკ.“); ერთთავურის შედეგებმა ცხადყოვეს, აგრეთვე, [პირველი მძიმე ზედმეტია] რომ... ხანძარსაშიში მდგომარეობაა შექმნილი... („სოფლ. ცხოვრ.“).

არ უნდა გამოიყოს მძიმეებით აგრეთვე ნაწილაკი ერთგვაროვან წევრებთანაც, როცა იგი და (ან) კავშირის ფუნქციას ასრულებს, ან — ც(ა) ნაწილაკის ფუნქციას და კავშირის გვერდით. მაგ.:

ჩვენს მიერ მინიშნებული სიტუაციები... აგრეთვე (=და||ან) შემთხვევებით, როცა საზოგადოების ინტერესების ხელყოფა ზღვება... მიკროგარემოს ეუქმტის უდიდეს მნიშვნელობას წარმოაჩენს... („ახ. კომ.“).

როცა აგრეთვე ნაწილაკით დაკავშირებული წევრი მრავალშემადგენლიანია, აგრეთვე განკერძოვდება და ჩართულის ფუნქციას შეასრულებს.

შდრ.: „ჩემპიონატის დასაწყისში საქართველოს გუნდები — თბილისის „დინამო“, აგრეთვე (=და კავშირს) „გურია“ დამარცხდნენ“. ან: „...თბილისის „დინამო“ და აგრეთვე „გურია“ (სხვაგვარად: [და] „გურიაც“) დამარცხდნენ“. მაგრამ: „თბილისის „დინამო“, აგრეთვე (||და აგრეთვე), [ჩართულია] უმაღლეს ლიგაში ახალგადასული (ლანჩხუთის გუნდი) „გურია“ დამარცხდნენ“.

5. ზმნის პირიანი ფორმები წინადადების შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში მოდალური ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს და მძიმით არ გამოიყოფა. ე. ი. ისეთი შესიტყვებები, როგორცაა **შიძლება დავიკვროთ, მგონი დავიგვიანეთ, ეტყობა უჭირთ, ჩანს დაიკვრა** და მისთ. ინტონაციურად და სემანტიკურად დაუნაწევრებელა შესიტყვებებია:

შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელი ეწლება მკითხველს მიერ პოემის ესთეტიკური აღქმის მთლიანობას („ციცკ.“).

შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში კი იგივე ფორმები ჩართულად ხორციელდება და უნდა გამოიყოს მძიმით (მძიმეებით). მაგ.:

შესაძლოა [!] საქართველო „სულიერების განგი“ არ იყოს, მაგრამ ერთ საშუალო მთის მდინარეს მაინც არ ჩამოუვარდება (გ. ასათ.); ეტყობა, ქალი და ჩხუბი მართლა ერთად დადიან (თ. კილა); ჩანს, „ვისრამიანია“ მას [მ. ბროსეს] „ვეფხისტყაოსნთან“ მიმართებითაც ინტერესებდა და ცალკეც (მძ. ქართ. მწ. მკვ.); ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბეგრს არ იცემდა თავში, — რატომ სწავლა არა მქვსო (ილია); მენავე მარდად უსვამს ნაჩბებს. მენავეს, ეტყობა, მაგარი კუნთები აქვს (ო. იოს.).

6. ჩართულის ფუნქციას ასრულებენ შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები — რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია, უძველესია, ძნელია, წარმოუდგენელია, შეუძლებელია და მისთ. წინადადების თავში (ან ბოლოში) ეს სიტყვები თითო მძიმით გამოიყოფა, წინადადების შუაში კი — ორი მძიმით. მაგალითები:

წინადადების თავში:

მ ა რ თ ა ლ ი ა, ა რ ც ა მ სისუსტეების გამო ღირს წაყრუება (გ. ასათ); ბუნებრივია, შეწისქვილენი და მეთევზენი მდინარის პირად უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი... (ა. სულაკ.).

წინადადების შუაში:

ჩვენს სულთამხუთავს, რასაკვირველია, უფრო ეამებოდა, ჩვენ რომ ერთგულ უღალატო ქვეშევრდომებად გავგებოდით ფეხქვეშ (გ. ასათ); რელიგიამ იგრძნო განათლების სასრულობა და, ცხადია, იგი მის კულტს არ მიიღებდა („კრიტი.“); მე, რასაკვირველია, ვერ გამოვდგები მსაჯულად... („ცისკ.“).

წინადადების ბოლოს:

თანახმა ვარ გაგიმხილოთ, ქმართაგან საიდუმლოდ, რასაკვირველია („წიგნ. სამყ.“).

შენიშვნა: ამ სიტყვებსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის არ უნდა დაისვას რომ კავშირი. მაგ.:

ცხადია, რომ ნაწვერალის დამუშავება... აჩვენით უნდა დავიწყეთ (ა. ჯაფარი).

რომ კავშირი ზედმეტია, საერთოდ, ზმნური ფორმის მქონე ჩართულებთან.

7. მძიმეებით არ გამოიყოფა ე. წ. ნატვრითი (ნეტავ|ნეტა|ნეტამც), შესაძლებლობა-ვარაუდის გამომხატველი (იქნებ|ივგებ), უნახაობის (თურმე) ნაწილაკები და სხვა დამხმარე, მოდალური, სიტყვები⁵⁸, თუნდაც მათზე მოდიოდეს ფრაზის ლოგიკური მახვილი.

8. საერთოდ გაუმართლებელია წინადადების წევრთა გამოყოფა მხოლოდ ლოგიკური მახვილის საფუძველზე⁵⁹. მაგ.:

⁵⁸ იხ. ნ. ბასილაია, დასახ. ნაშრ., გვ. 173—178.

⁵⁹ წინადადების ცალკეული ნაწილების, შესიტყვებების ასეთი ინტონაციური დანაწევრება, ე. წ. პ ა რ ც ე ლ ა ც ი ა, თავისთავად, შეიძლება ცალკე დაკვირვების საგანი იყოს. იხ. „Грамматика современного русского литературного языка“, М., 1970, გვ. 621—622.

თუ ადამიანი მშრომელია, იგი, უეჭველად, ზნეობრივადც ფაქიზი იქნება („ახ. კომ.“); ფესტივალში, ამჟამად, 80 ქვეყნის... 120 კინოურათი მონაწილეობდა („კომ.“); ახალგაზრდობის აღზრდის საქმე დღეს, საქართველოში, გადაუდებელი, ყოველდღიური ზრუნვის საქმედ მიიჩნია („წიგნ. სამყ.“).

*
* *

ჩართულის მართლწერასთან, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია წმინდა სტილისტიკური ხასიათის საკითხებიც; კერძოდ, ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების კონტექსტის შესაბამისად გამოყენების საკითხი.

სტილისტიკური ხასიათის დარღვევად ჩაითვლება:

1. ერთი ჩართული სიტყვის გამოყენება მეორის ნაცვლად (ჩართულთა სინონიმური წყვილები ყოველთვის თავისუფლად ვერ მონაცვლეობენ). მაგალითად:

აგორატექნიკურ დონისძიებათა დროული და ხარისხობრივი ჩატარება უზრუნველყოფს მალასა და მყარ მოსავალს. სახელდობრ [აჯობებდა **მაგალითად**], ხმელნიცკის ოლქში თითოეული ჰექტარიდან 30 ც. ხორბლის მოსავალი აიღეს (ა. ჯაფარ.); მსოფლიო წარმოებაში საშემოდგომო ხორბლის ნათესი მნიშვნელოვნად მეტია საგაზაფხულო ხორბლის ფორმებზე. სახელდობრ [აჯობებდა **კერძოდ**], აზიაში... ევროპის კონტინენტზე და აშშ-ში საგაზაფხულო ხორბალი უმნიშვნელოა (ა. ჯაფარ.) [შევნიშნავთ, რომ სტილისტიკურად წინადადება საერთოდ გაუმართავია].

2. ჩართული სიტყვის წმინდა ფორმალური გამოყენება — როცა იგი ფრაზის „ცრუ სამკაულად“ იქცევა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში განსაკუთრებით მოხშირდა ზოგიერთი ნაწილაკ-ჩართულის (**უბრალოდ**, **არადა...**) გამოყენება საკავშირებელ სიტყვად. მაგ.:

ავადმყოფს გადაუსხეს... სისხლი, მაგრამ... საქმარისი არ აღმოჩნდა. არადა, ახალი დონორის მოსაძებნად დრო აღარ რჩებოდა [აჯობებდა: ახალი დონორის მოსაძებნად **კი** დრო აღარ რჩებოდა!] („კომ.“); რამდენი ხანი ველოდი ამ შეხვედრას! არადა, ბატონი ოთარი შეუძლოდ ბრძანდებოდა და შეწყუბებს ვერიდებოდით [არადა-ს ხმარებას თუ თავს ვერ დავადწვედით, კორესპონდენტის სურვილსა და სინამდვილეს შორის მიმართებას ფრაზის ასეთი აგება უფრო გამოხატავდა: ბატონი ოთარი შეუძლოდ ბრძანდებოდა და შეწყუბებს ვერიდებოდი. **არადა**, რამდენი ხანი ველოდი ამ შეხვედრას!] („ახ. კომ.“); უბრალოდ, სიარულიც ამხელდა [წმიდლებოდა **უბრალოდ** სიტყვის გარეშეც], რომ მთელი სხეული ყოვლისშემძგრეული გაოცებით... ჰქონდა საესე... (ე. მაღრ.).

სასაუბრო ენაში კი დღეს ხშირია **მაშასადამე**, **მოკლედ**, **პრინციპულად** (**პრინციპში**), **სადღაც...** და მსგავსი სიტყვების სტილური მიზ-

ნით გამოყენება. ამგვარი სტილით მეტყველება გვაგონებს გლახა ჭრა-
აშვილის — ამ „სიტყვა-პასუხიანი კაცის“ — მეტყველებას, რომელ-
საც დიდმა ილიამ „ფეიქრის ქსელივით გაბმული“ უწოდა. გავიხსენ-
ნოთ:

„ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე, სიჩქარით, შენი ჭირიმე,
თქვენიც კარგად მოგეხსენებათ, სოფელი არავის მოუქამია... აი, ამა-
ტომაც მიწა თავიდან დავიწყო, ისე სჯობია, თავიდანვე დალაგებით მოგახსენო:
ბაბა-ჩემი აზნაური გზლებიათ — ეს დიდიხნის ამბავი გახლავა — ნუ გზარერის-
თვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე
ამბობენ, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დრო-
ების რა მეცოდინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში
ჭალარა გამომრევა, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ...⁶⁰

დამხმარე სიტყვებით „აკინძული“, გაუძარტავი ფრაზის ორიოდ
ნიმუში პრესის ენიდან:

...ყოველი მხრიდან მივსალმებოდნენ მას, თითქოსდა ლიდერი და ხალხის აზ-
რების მეფე ყოფილიყოს. თუმცაღა, განა, მართლაც, არსებობდა,
ასეც არ იყო? („კომ.“); განა ბუნებრივი ტალანტით მადლცხებულნი, ხალხის ნიჭით
დაჯილდოებული ათლეტი, პირველ ყოვლისა, თუკი ეს შეუძლია (!)
მშობლიური ხალხის გასახარად არ უნდა იღვწოდეს? („ლელო“).

ამ რიგის დარღვევების თავიდან ასაცილებლად ნორმის დაწესება,
ცხადია, გაძნელებდა. ჩვენი მიზანი იქნება დავაზუსტოთ და წარმო-
ვადგინოთ ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ფუნქციები და გა-
მოყენების არე ფუნქციონალური სტილების მიხედვით, რაც უკვე
ცალკე წერილის თემაა.

იმის საბუთად კი, თუ რა ფსევდოეფექტის გამომწვევია ჩართულე-
ბისა თუ დამხმარე სიტყვების „უმისამართო“ ხმარება, ხაზგასმულად
„ამაღლებული სტილით“ მეტყველება, ამ წერილს უჩვეულოდ დავამ-
თავრებთ — ერთი თანამედროვე მწერლის მოხდენილი იუმორით:

„პროფესორი ადგა: „ისა... მე... მამასადამე... უნდა ვიფიქროთ... ბავშვების
აღზრდა... ისა... საყურადღებო... უმინსკი... როგორც ვთქვი...“ ოთაშში
ზრდილობიანი სიჩუმე იდგა. პროფესორი დაჭდა და მერხზე თითის კაყუნი დაი-
წყო... მასწავლებელმა მშობლებს გადახედა: „მაინც რას ნიშნავს ვანათლებული
კაცი!“ (თ. კილაძე).

⁶⁰ ილია კავკავაძე, რჩეული, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1985, გვ. 281.